



სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

თამთა კაპანაძე

რისკ მენეჯმენტის ეფექტური სტრატეგიები
საქართველოს კომერციულ ბანკებში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტზე
ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნათია ჟოჟუაშვილი
ასოცირებული პროფესორი

გორი

2021

ანოტაცია

რისკ მენეჯმენტის ეფექტური სტრატეგიები საქართველოს კომერციულ ბანკებში

საბანკო სექტორის გამართული ფუნქციონირება პირდაპირ გავლენას ახდენს ჩვენი ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობაზე, ვინაიდან სწორედ იგი გვევლინება საქართველოში ბიზნესის მთავარ დამფინანსებლად და ეკონომიკური პროცესების მნიშვნელოვან მოთამაშედ.

კომერციული ბანკების რისკ მენეჯმენტის მთავარ მიზანს მოსალოდნელი საფრთხეების მაქსიმალურად ზუსტი პროგნოზირება, სწორი დაგეგმვა და ამ გზით ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ეფექტური რისკ მენეჯმენტი როგორც მომხმარებლის, ისე ბანკისა და მასთან ერთად მთელი ფინანსური სექტორის მდგრადობას უწყობს ხელს. უკანასკნელ პერიოდში წარმოქმნილი რისკის მზარდმა დონემ და მასშტაბებმა, რომლებმაც ეკონომიკისა და ბიზნესის სხვა სექტორებთან ერთად დიდი გავლენა იქონიეს საბანკო სფეროზეც, კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შესძინა საბანკო რისკ მენეჯმენტს და დღის წესრიგში დააყენა ახალი სტრატეგიების ძიების აუცილებლობა. იზრდება ზარალის და დანაკარგების შემცირების სხვადასხვა, ალტერნატიული მეთოდების შემუშავების და დანერგვის საჭიროებები, მათი სწორი ანალიზის საკითხი კი გადადის უფრო მაღალ საფეხურზე. სწორედ ამიტომ, აღნიშნული საკითხის კვლევა მეტად აქტუალურია დღევანდელ რეალობაში.

წინამდებარე ნაშრომში „რისკ მენეჯმენტის ეფექტური სტრატეგიების საქართველოს კომერციულ ბანკებში“ წარმოდგენილია მართვის არსებული პოლიტიკის ანალიზი და შემუშავებულია მისი ეფექტურობის ამაღლების გზები. განხილულია პოსტ-კრიზისული მოქმედების გეგმა და ნაბიჯები, რომელთა საშუალებითაც საქართველოში მოქმედმა კომერციულმა ბანკებმა COVID-19 პანდემიით გამოწვეული უარყოფითი შედეგების დაძლევა შეძლეს. შემუშავებულია სტრატეგიების სრულყოფისთვის საბანკო პოლიტიკაში განსახორციელებელი ცვლილებები არსებული ვითარების და სამომავლო პერსპექტივის გათვალისწინებით.

კვლევის მიზანი და ამოცანაა, გაანალიზდეს ეფექტური რისკ მენეჯმენტის როლი საბანკო სექტორში, რისკთან ბრძოლის არსებული მექანიზმების ქმედითუნარიანობა და ნაკლოვანებები. ასევე ეროვნული ბანკის ჩართულობა კომერციული ბანკების რისკების იდენტიფიცირებასა და მართვაში და პანდემიური კრიზისით მიყენებული ზარალის დაძლევის პერსპექტივები. კვლევიდან მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები ხელს შეუწყობს ახალი მიდგომების ჩამოყალიბებას და რისკ მენეჯმენტის ეფექტურობის ამაღლებას, რაც პირდაპირ გავლენას იქონიებს საბანკო სექტორის საქმიანობის გაუმჯობესებაზე.

ANNOTATION

Risk Management Effective Strategies for Commercial Banks in Georgia

The proper functioning of the banking sector directly affects the financial stability of our country as it is the main investor of business in Georgia and an important player in economic processes.

The main goal of commercial banks' risk management is predicting the expected risks as accurately as possible, proper planning and ensuring financial stability by this way. Effective risk management contributes to the sustainability of all three: the customer, the bank and the entire financial sector at the same time.

The recent increase in the level and scale of risk, which, along with other sectors of the economy and business, has had a major impact on the banking sector, has added even more importance to bank risk management and put the need for new strategies on the agenda. The need to develop and implement various alternative methods of loss reduction is growing, and the issue of their correct analysis is moving to its higher level. Thus the study of this issue is too relevant in today's reality.

The thesis "Risk Management Effective Strategies for Commercial Banks in Georgia" presents an analysis of the existing management policy and develops ways to increase its effectiveness. There is a review of a post-crisis action plan and steps were taken to enable commercial banks operating in Georgia to overcome the negative consequences of the COVID-19 pandemic. There are also developed certain viewpoints about necessary changes in banking policy to improve the strategies considering the current situation and future prospects.

The aim and the objective of the research are to analyze the role of efficient risk management in the banking sector, the effectiveness and shortcomings of existing risk management strategies. Also there is reviewed the involvement of the National Bank in identifying and managing the commercial bank risks and the prospects for tackling the impedances caused by the pandemic crisis.

The findings and recommendations from the research will promote forming new approaches and capability building of risk management. These in turn will have a direct impact on improving the performance of the banking sector.

შინაარსი

| | |
|---|-----------|
| რეზიუმე | 2 |
| შესავალი | 5 |
| ლიტერატურის მიმოხილვა | |
| თავი I. რისკ მენეჯმენტი საბანკო სფეროში და მისი თავისებურებები..... | 13 |
| 1.1. რისკ მენეჯმენტის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა საბანკო სფეროს ეფექტური ფუნქციონირებისთვის | 13 |
| 1.2. საბანკო რისკის ძირითადი კატეგორიები | 19 |
| 1.3. საბანკო რისკების მათვის დამკვიდრებული სტანდარტები მსოფლიოში | 26 |
| თავი II. რისკების ეფექტური მართვის სტრატეგიები თანამედროვე საბანკო სისტემაში | 30 |
| 2.1. საქართველოს საბანკო სისტემაში მოქმედი რისკების მართვის სტრატეგიები, მათი ეფექტურობა და უარყოფითი მხარეები..... | 30 |
| 2.2. ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა საქართველოში, როგორც რისკის პრევენციის ერთ-ერთი გზა..... | 35 |
| 2.3. ეროვნული ბანკის როლი კომერციული ბანკების რისკების მართვაში..... | 37 |
| 2.4. რისკების მართვის სტრატეგიები საზღვარგარეთის ქვეყნების საბანკო სისტემებში..... | 45 |
| თავი III რისკების მართვა კომერციული ბანკებისთვის COVID-19 პანდემიის პერიოდში..... | 49 |
| 3.1. პანდემიით გამოწვეული რისკები საბანკო სექტორში..... | 49 |
| 3.2. საბანკო პოლიტიკაში განხორციელებული ცვლილებები რისკების მართვის მიმართულებით..... | 51 |
| სამაგისტრო ნაშრომის კვლევა - „რისკების მართვის და სტრატეგიების შესახებ საქართველოს საბანკო სექტორში“ | 56 |
| დასკვნა და რეკომენდაციები | 69 |
| გამოყენებული ლიტერატურა | 72 |

შესავალი

საბანკო სისტემის გამართული ფუნქციონირება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სახელმწიფოს სოციალურ - ეკონომიკური განვითარების დონეს და პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე ბიზნეს პროცესების სტაბილურობასა და დინამიურობაზე. ჩვენს ქვეყანაში სწორედ საბანკო სფერო გვევლინება ბიზნესის მთავარ დამფინანსებლად და ეკონომიკური პროცესების მნიშვნელოვან მოთამაშედ. ბოლო პერიოდში მძაფრად გამოიხატება რისკ ფაქტორების ზრდა ყველა სფეროში. სწორედ ამიტომ სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს საბანკო სექტორში ეფექტური რისკ მენეჯმენტის და მართვის სტრატეგიების სრულყოფის საკითხები.

თემის აქტუალობა. გლობალური ეკონომიკა სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა ისეთი ფინანსური რისკების წინაშე, რომელთა მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშე დაძლევა შეუძლებელი გახდა ეკონომიკურად ძლიერი და მაღალგანვითარებული სახელმწიფოებისთვისაც კი. კრიზისმა ნათელი გახადა, რომ მსოფლიოს ჯერჯერობით არ გააჩნია ბერკეტი, რისი საშუალებითაც მოახდენს ნეგატიური ფაქტორების გავლენის მინიმალიზებას ისეთ დონემდე, რომ არ მოხდეს სისტემის გაჩერება თუნდაც მოკლევადიან დროის ინტერვალში. ამ საკითხმა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახადა რისკების უფრო ფუნდამენტური კვლევა და მათთან ბრძოლის უფრო ეფექტური მეთოდების ძიების საკითხი. საბანკო რეგულირება, რისკების მართვა და შესაბამისობა ის საკითხებია, რომლებიც გავლენას ახდენენ მთლიანი სექტორის ფუნქციონირებაზე. რეგულირების შემუშავებული მექანიზმები მიზნად ისახავს, შეამციროს საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო და უფრო ფართო გაგებით სისტემური რისკი.¹

ძალზედ მნიშვნელოვანია კონკრეტულად საბანკო სისტემის წინაშე წარმოშობილი სირთულეები და რისკები, რომელთა დასაძლევად

¹ ა. დილი. *საბანკო რეგულირება, რისკ მენეჯმენტი და შესაბამისობა*, მილტონ პარკი, აზინგდონი, ოქსონი, 2020.

გატარებული პრევენციული ზომები და შეცვლილი საკრედიტო პოლიტიკა პირდაპირ აისახა ცალკეული მომხმარებლების ფინანსურ მდგომარეობასა და ბიზნესის ფუნქციონირების ხარისხზე. აქედან გამომდინარე, საკითხი, თუ რამდენად სწრაფად და ეფექტურად შეძლებს საბანკო სისტემა ამ კრიზისიდან თავის დაღწევას, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თავად ორგანიზაციისა და სისტემისთვის, არამედ ბიზნესისა და თითოეული ცალკე აღებული საოჯახო მეურნეობისთვის, რომლებიც თავის მხრივ ქმნიან ბაზარს და საბოლოოდ სახელმწიფოსთვისაც.

აღნიშნული თემით შეიძლება დაინტერესდნენ არა მხოლოდ მსხვილი ფინანსური ინსტიტუტები, არამედ შედარებით მცირე ორგანიზაციები და ფირმები, რომელთაც არ გააჩნიათ დიდი გამოცდილება სექტორზე მოქმედ რისკებთან ბრძოლის საქმეში და რომელთა მდგომარეობაც მკვეთრად გააუარესა პანდემიით შექმნილმა მდგომარეობამ. მიდგომები, რომლებიც არსებობდა 2019 წლამდე, არ შეიძლება იყოს ისეთივე ქმედითი და დღეს და მით უფრო უახლოეს მომავალში, ვინაიდან COVID19 პანდემიამ დააწესა მოქმედების საგანგებო წესები.

თემის მიზანი. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე გამომდინარეობს კვლევის მიზანი, რაც გამოიხატება საბანკო სისტემის ეფექტურად ფუნქციონირების უფრო საფუძვლიანად შესწავლასა და საჭირო სტრატეგიების შემუშავებაში. საყურადღებოა საბანკო რისკის თავისებურება, რომელიც გამოირჩევა იმით, რომ საჭიროებს პერმანენტულ ანალიზს, მართვას და კონტროლს. მონიტორინგის პროცესი უნდა წარმართოს აქტიური ფინანსური საქმიანობის (რაც მოიცავს ბიზნესის და ფიზიკურ პირთა დაკრედიტებას, ანაბრების მოზიდვას, გაცემული კრედიტების შესაბამის ვადებში დაბრუნების საკითხს, მუდმივად ცვალებად კანონმდებლობასთან შესაბამისობაში ყოფნას, ფინანსური მოქნილობის უნარის ქონას და სხვა) პარალელურად.

საკვლევ თემაში წარმოდგენილი იქნება რისკ მენეჯმენტზე მოქმედი ფაქტორები და ეფექტური მართვის სტრატეგიები თანამედროვე საბანკო სისტემაში, ასევე ამ მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებების კომპლექსისა და რისკის შემცირებისა და თავიდან აცილების გზები. გარდა ამისა, ნაშრომში განხილული იქნება არსებული პანდემიით გამოწვეული ფინანსური კრიზისის უარყოფითი როლი საბანკო სექტორზე და უახლესი გამოცდილებიდან გამომდინარე შემუშავებული თუ სამომავლოდ გასატარებელი ღონისძიებები, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში.

კვლევის მეთოდოლოგია. დასახული მიზნებიდან გამომდინარე სჭირო რეკომენდაციებისა და რაციონალური დასკვნების მისაღებად შემუშავებული იქნება რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგია (ანკეტური გამოკითხვის გზით), რომელიც დამყარებული იქნება სამიზნე ჯგუფების გამოკითხვასა და მონაცემთა სტატისტიკურ ანალიზზე. ამასთან, გამოყენებულ იქნება გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგია, რათა შეირჩეს მოქმედების ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც შეირჩევა სარეკომენდაციოდ პანდემიის პირობებში ფუნქციონირებად ბანკებისთვის.

საკითხის პრაქტიკულ ჭრილში დასაანახად, პროფესიონალური შეფასებისა და ანალიზისთვის და მეტი დეტალის მხედველობაში მისაღებად გამოყენებული იქნება ინტერვიუს მეთოდი საბანკო სფეროს ექსპერტთან, რაც დაეხმარება კვლევას ისეთი ნიუანსების წინა პლანზე წამოწევაში, რომლებიც შესაძლოა არ ჩანდეს პროცესის ზედაპირზე, მაგრამ არსებით გავლენას ახდენდეს მის მიმდინარეობაზე.

კვლევიდან მიღებული მონაცემები დაეხმარება ეფექტური სტრატეგიების ჩამოყალიბებაში საბანკო სისტემის რისკ მენეჯმენტის მიმართულებით, რაც შესაძლებელს გახდის ფინანსური რისკების მართვის ეფექტიანობის ამაღლებას.

კვლევის მეცნიერული სიახლე. კვლევაში განხილულ იქნება კონკრეტული ბანკის/ბანკების სტრატეგიული დაგეგმვის მაგალითები პანდემიის ჭრილში. ნაშრომის მთავარი მეცნიერული სიახლე კი იქნება მონაცემთა ანალიზის ელექტრონული სისტემის საშუალებით სავარაუდო მოქმედებების და გადაწყვეტილებების მართებულობის მათემატიკური გაზომვა, რაც ცალსახად წარმოაჩენს კონკრეტული სტრატეგიის მიზანშეწონილობის ხარისხს. გაშუქდება, თუ, როგორ მიმდინარეობს რისკის კვლევის პროცესი - მისი იდენტიფიცირება, შესწავლა და გაზომვა.

გარდა ამისა, კვლევაში განხილულ იქნება განვითარებული ქვეყნების რისკ მენეჯმენტის სტრატეგიები საბანკო სექტორში პანდემიის პერიოდში და პარალელს გავავლებთ საქართველოში მიმდინარე ანალოგიურ პროცესებთან. კვლევის შედეგად შემუშავდება შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები, რაც მეტად აღქმადს გახდის მიდგომათა შორის მსგავსება-განსხვავებას, ასევე იმას, თუ რისი დანერგვა შეიძლება სამომავლოდ ქართულ საბანკო რეალობაში კრიზისთან მიმართებაში მეტი ეკონომიკური და ფინანსური მდგრადობის შესანარჩუნებლად.

ნაშრომის პირველ თავში განხილულ იქნება რისკ მენეჯმენტის მნიშვნელობა, მასზე მოქმედ ფაქტორები, ისტორიულ გამოცდილება, ამ მიმართულებით უკვე განხორციელებულ კვლევებს და არსებულ მეცნიერულ მოსაზრებებს.

მეორე თავში უფრო ნათელი სურათის წარმოსაჩენად, განხილულ იქნება ერთი კონკრეტული ბანკის სტრატეგიული მართვის პოლიტიკას რისკ მენეჯმენტის კუთხით, მის მიერ გატარებულ პრევენციულ ზომები პანდემიის პირობებში. გარდა ამისა, განიხილება მთლიანად საბანკო სფეროში არსებული მდგომარეობა - წარმოდგენილი იქნება სტატისტიკური მონაცემები, რომელთა საშუალებითაც გამოჩნდება, თუ, რამდენად ეფექტურად ახდენენ ქართული და უცხოური ბანკები რისკების მართვას დღევანდელ მაღალკონკურენტულ და სწრაფად ცვალებად

საბაზრო პირობებში (ეს ყოველივე თავის თავში გულისხმობს მრავალი სახის და მოცულობის რისკს).

მესამე თავში წარმოდგენილი იქნება კვლევა, რომელიც დაგვანახებს, რამდენად განსაზღვრავს ქვეყნის ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ბაზარზე მიმდინარე ძვრები ბანკის რისკ მენეჯმენტის ფორმებს და სტრატეგიებს, ასევე ბანკის პოლიტიკის სიხისტეს ისეთი მიმართულებებით, როგორცაა დაკრედიტების სიმარტივე, შეღავათები კრიზისის პირობებში, საპროცენტო განაკვეთები და ა.შ. აქვე იქნება წარმოდგენილი განვითარებული ქვეყნების საბანკო სისტემების გამოცდილება და მათ მიერ გატარებული ღონისძიებები პანდემიით გამოწვეული კრიზისის შედეგების შესამსუბუქებლად.

ლიტერატურის მიმოხილვა

- ნაშრომი სხვა სამეცნიერო ლიტერატურასთან ერთად ეყრდნობა ევროპის უნივერსიტეტის პროფესორის, ტიერი რონაკალის სახელმძღვანელოს „ფინანსური რისკების შესახებ“² ტიერი რონაკალი - ევრის უნივერსიტეტი, 2020წ

[https://www.researchgate.net/publication/340873353 Handbook of Financial Risk Management](https://www.researchgate.net/publication/340873353_Handbook_of_Financial_Risk_Management) [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 28.03.2021] მასში

განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა: რისკ მენეჯმენტი ფინანსურ სექტორში, რისკის საზომი, კაპიტალის პორტფელის სავარაუდო ხარვეზი, გრძელი/მოკლე პორტფელის რისკის საზომი, მხარის საკრედიტო რისკი და უზრუნველყოფის რისკი, აქტივების/ვალდებულებების მართვის რისკი, ლიკვიდურობის რისკი, ვასიჩეკის საკრედიტო რისკის მოდელი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ერთი მხრივ შევაფასოთ საკრედიტო პორტფელის დანაკარგის განაწილება დივერსიფიცირებული პორტფელისთვის, ხოლო მეორე მხრივ მოვახდინოთ საკრედიტო დანაკარგების სიმულაცია კონცენტრირებული პორტფელისთვის და ა.შ.

² ტ. რონაკალი. სახელმძღვანელო ფინანსური რისკების შესახებ, ევრის უნივერსიტეტი, 2020

- ნაშრომში ასევე განხილული იქნება ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის მიერ შემუშავებული საზედამხედველო და ბანკის სტრუქტურების პრაქტიკის მეთოდოლოგია, ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტი - სტრუქტურების პრაქტიკის ნაკრები, დეკემბერი, 2017 პუბლიკაცია. <https://www.bis.org/bcbs/publ/d427.pdf> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 28.03.2021] კონკრეტულად კი ბანკის სტრუქტურების ჩარჩოები, სტრუქტურის მეთოდოლოგიები და შედეგების გამოყენება. აღნიშნული კვლევისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია რისკ მენეჯმენტის ეფექტურობის ამალღების თვალსაზრისით.
- ნაშრომი გარდა მეცნიერული სტატიებისა დაემყარება წიგნს- „საბანკო მენეჯმენტი და კონტროლი, სტრატეგია, ფასები, კაპიტალი და რისკ მენეჯმენტი“ (იოჰანეს ვერცი, ციურიხი, შვეიცარია 2020), სადაც განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა: რისკის იდენტიფიკაცია, რისკის მოდელირება და კაპიტალი, საკრედიტო რისკი, კაპიტალის ოპტიმიზაცია, საკრედიტო რისკის ფარგლებში ტესტირება.
- წიგნში „საბანკო რეგულირება, რისკ მენეჯმენტი და შესაბამისობა“ (ალექსანდრ დილი, მილტონ პარკი, აბინგდონი, ოქსონი, 2020) განხილულია რისკის მართვისა და შესაბამისობის ფუნქციების ანალიზი, ასევე წარმოდგენილია კონკრეტული ქვეყნების პრაქტიკის განხილვა საბანკო რეგულირებისა და რისკ მენეჯმენტის კუთხით, მაგალითად: შესაბამისობის რისკი აშშ-ში, დიდი ბრიტანეთის ერთიანი სტრუქტურის გამოცდილება და სხვა.
- ჩინელი და ამერიკელი პროფესორების ერთობლივი წიგნი „პანდემიური რისკ მენეჯმენტი ოპერაციებსა და მენეჯმენტში - COVID 19-ის გავლენის მოდელირება“ (დევიდ ოლსონი, დემუნგ დაშ ვუ) -2020წ- განხილულია შემდეგი საკითხები: COVID 19-ის გავლენა საბანკო სექტორზე, მოკლევადიანი გავლენა ბანკის საქმიანობის მაჩვენებლებზე, სესხის რისკ

ანალიზი ორსაფეხურიანი ქსელის გამოყენებით, ორგანიზაციის გარე რისკის გაზომვა.

- **სტატია: რისკების მართვა ახალ რეალობაში Forbes Georgia, თამთა ჯიჯავაძე, ივლისი, 2020, <https://forbes.ge/riskebis-marthva-akhal-rea/> [უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 15/03/2021) - ინტერვიუ ფინკა ბანკის რისკების მართვის დირექტორ თინათინ იამანიძესთან, რომელიც ტრადიციული რისკების პარალელურად პანდემიის პერიოდში გაჩენილ ისეთ რისკებზე საუბრობს, როგორცაა ინფორმაციული უსაფრთხოების რისკი. მისი თქმით, პროცესის გაციფრულებასთან ერთად გაიზარდა ბანკის ისეთ მესამე მხარეზე დამოკიდებულების რისკი, როგორცაა სხვადასხვა IT სისტემის პროგრამული უზრუნველყოფისა და ინტერნეტის პროვაიდერები. ამასწინა პლანზე წამოწია ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერ რისკების მართვა.**
 - **ერიკ ჰ.ი. კოპის ნაშრომში „რისკის მართვის კომპეტენციის განვითარება ბანკებში“ განხილულია რისკების მართვის გამოწვევები პოსტ კრიზისულ ვითარებაში, რისკის მართვა საბანკო სექტორში, რისკის მართვის კომპეტენციის განვითარების მაჩვენებლები და ინდიკატორები.**
 - **ლ. ლაგვილავა - საქართველოში მოქმედი ბანკების საკრედიტო დანაკარგისა და პორტფელის კონცენტრაციის რისკის შეფასება**
https://www.nbg.gov.ge/bankjournal/index.php?m=115&blog_id=159
[უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 28.03.2021]
 - **წიგნი „კოვიდეკონომიკა“ ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, CEPR Press, აპრილი, 2020**
<https://euagenda.eu/upload/publications/covideconomics2.pdf.pdf#page=5>
[უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 28.03.2021]
- ზემოთ ჩამოთვლილი სახელმძღვანელოები და სტატიები სხვა წინამდებარე კვლევით ნაშრომებთან ერთად, გააადვილებს უფრო მასშტაბური სურათის დანახვას და მეტი დეტალის გათვალისწინების

შესაძლებლობას საბანკო სექტორის რისკ მენეჯმენტის კვლევის მიმართულებით.

თავი I

რისკ მენეჯმენტი საბანკო სფეროში და მისი

თავისებურებები

1.1 რისკ მენეჯმენტის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა საბანკო სფეროს ეფექტური ფუნქციონირებისთვის

ბოლო ათწლეულებში საბანკო სისტემა სწარაფ და მკვეთრ ცვლილებების განიცდის როგორც ლოკალურ, ისე გლობალურ დონეზე. ამასთან, უკანასკნელ პერიოდში მსოფლიო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობით გამოწვეულმა კრიზისმა და თანმდევმა კომპლექსურმა მოვლენებმა (ზოგიერთების შეფასებით - პოსტკრიზისული მდგომარეობამ) მნიშვნელოვნად გაიზარდა არსებული საბაზრო რისკები და ბანკებისა და სხვა ტიპის ფინანსური კომპანიების შემოსავლის დიდი ნაწილის დაკარგვის მიზეზად იქცა.

საბანკო რისკის ზრდამ დღის წესრიგში დააყენა საბანკო რისკ მენეჯმენტის, უფრო ზუსტად კი საბანკო პოლიტიკისა და პროცედურის, რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების, მათი ლიმიტების განსაზღვრის, მათზე მონიტორინგის დაწესების, საინფორმაციო თუ სხვა სახის დამხმარე სისტემების, შიდა და გარე კონტროლის მექანიზმების უფრო მაღალ დონეზე ოპერირების აუცილებლობა.

ეფექტური რისკ მენეჯმენტი წარმოადგენს ამოსავალ წერტილს, რისი საშუალებითაც ბანკს აქვს შესაძლებლობა, გააუმჯობესოს აქტივების ღირებულება, მიიღოს ინფორმაცია მომავალში არსებული შესაძლო საფრთხეებისა და მოსალოდნელი ზარალის შესახებ და შეიმუშაოს თავდაცვის სტრატეგიები. კომპლექსური ინფორმაციის შეკრებისა და დამუშავების საფუძველზე იგი საშუალებას იძლევა, გაუმჯობესდეს სისტემური გადაწყვეტილებების მიღების მეთოდები და პროცესები, შეფასდეს ბანკის ბიზნეს საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკები და

შეიქმნას ისეთი ინფრასტრუქტურა, რომელიც აამაღლებს ბანკის კონკურენტუნარიანობის დონეს.

ეფექტური რისკ მენეჯმენტის განხორციელების მიზნით თითოეული კომერციული ბანკი მოწოდებული უნდა იყოს, რომ შექმნას ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც შესაბამისობაში მოვა ბანკის ბიზნეს პოლიტიკასთან, მიზნებსა და მასშტაბთან.

რისკის მართვის პროცესი შემდეგი ეტაპებისგან შედგება:

- ✓ რისკის დადგენა
- ✓ რისკის შეფასება
- ✓ მონიტორინგი და ლიმიტები
- ✓ რისკების კონტროლი
- ✓ რისკის მართვის საინფორმაციო სისტემა
- ✓ აქტივებისა და ვალდებულებების მართვა
- ✓ რისკის გაზომვის მოდელების (სტრეს-ტესტების) გამოყენება

ბანკი რისკების დადგენით მიზნად ისახავს საბანკო ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ყველა სახის რისკის იდენტიფიცირებას, რაც შეიძლება ზარალის დადგომის გამომწვევი მიზეზი გახდეს. რისკის განსაზღვრისას კი შემდეგი ფაქტორების მხედველობაში მიღებაა აუცილებელი:

1. მუდმივი მოლოდინის (მზადყოფნის) რეჟიმში ოპერირება;
2. იდენტიფიცირების პროცესში ყველა სახის ოპერაციის მოცვა;
3. ნებისმიერი პოტენციური წყაროს გამოყენებით რისკების შესახებ ინფორმაციის აკუმულირება და შემდგომი ანალიზი;
4. მოსალოდნელი რისკების ალბათობის გაზომვა და ანალიზი.

ზემოთ ჩამოთვლილი პროცესების საშუალებით შესაძლებელი უნდა გახდეს, სრულყოფილად შეფასდეს რისკების მართვის გამოყენების შედეგიანობის შესახებ არსებული მდგომარეობა. აღნიშნული მიდგომით ასევე უნდა შეფასდეს შემდეგი:

- რამდენად მგრძობიარეა კონკრეტული სახის საქმიანობა ან საბანკო პროდუქტი მასზე მოქმედ ფაქტორებთან მიმართებაში;
- მოქმედი ფაქტორების ცვლილებების დინამიკა წარსულში მომხდარ ცვლილებებზე დაყრდნობით და მათი სტატისტიკური კორელაცია;
- ინდივიდუალური რისკის საფრთხეები;
- სტატისტიკური კორელაციის გათვალისწინებით აგრეგირებული რისკი;
- რისკების ერთობლიობა, რომლებიც მოქმედებენ ყველა საბანკო პროდუქტზე და შეიძლება გაერთიანდნენ ბანკის მენეჯმენტის ინფორმაციულ სისტემაში.

ზოგადი პრაქტიკით, რისკის შეფასებისას გამოიყენება რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდები. ესაა რისკის შეფასების ყველაზე მარტივი მიდგომა, თუმცა არსებობს ალტერნატიული მოდელიც, რომლებსაც პრაქტიკოსები ხშირად ეყრდნობიან და იყენებენ. ეს მოდელი გულისხმობს, რომ პროცესის გაზომვა მოხდეს იმგვარად, რომ დაკმაყოფილებული იყოს გარკვეული მოთხოვნები როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ ჭრილში რათა უზრუნველყოფილი იყოს გამოყენებული მეთოდის სიზუსტე.

გარდა ზემოხსენებული მოდელებისა, დიდ და მძლავრ ბანკებს, რომელთა საქმიანობაც კომპლექსურობით ხასიათდება, აქვთ შესაძლებლობა, რომ გამოიყენონ მათ მიერვე შემუშავებული შიდა მოდელი. აქ უნდა აღინიშნოს, რომ შიდა მოდელის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ბანკის შიდა მიზნებისთვის რისკის პრევენციის თუ სხვა მიზნების მისაღწევად, რასაც ბანკის პოლიტიკითაა გათვალისწინებული.

რისკების ლიმიტების დადგენისას ბანკმა უნდა გაითვალისწინოს წარსული გამოცდილება ზარალთან მიმართებაში და მის ხელთ არსებული ადმიანური რესურსების უნარი, რამდენად მოქნილად და უმტკივნეულოდ

შეუძლიათ ცვლილებებთან ადაპტირება და მოსალოდნელი საფრთხისგან კომპანიის მაქსიმალური დაცვა კრიზისულ სიტუაციებში.

რისკის ლიმიტის განსაზღვრისას ბანკი უნდა მოქმედებდეს შესაბამისი კანონებისა და ნორმატიული დოკუმენტების მიხედვით. როგორცაა, მაგალითად მინიმალური კაპიტალის შესახებ მოთხოვნები, დებულებები ღია სავალუტო პოზიციისა და დაკრედიტების ლიმიტების შესახებ და სხვა.

მონიტორინგის პროცესის ფარგლებში ბანკმა უნდა შეიმუშაოს სარეზერვო სისტემა აწარმოოს მისი რეგულარული შემოწმება.

ამასთან, ბანკმა უნდა გაითვალისწინოს კრიზისის მასშტაბები ან მისგან გამოწვეული შესაძლო ზარალისა და რისკების მიმართ ბანკის კაპიტალის მდგრადობის უნარი.

რაც შეეხება რისკის მართვის **საინფორმაციო სისტემას**, რომელიც რისკის მართვის პროცესის ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, იგი უნდა ითვალისწინებდეს რაოდენობრივად შეფასებული რისკების ხარისხობრივ ფორმატში გადაყვანას, რომ ადვილად გასაგები გახდეს დირექტორატისა და ბანკის სხვა პასუხისმგებელი პირებისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

რისკის მართვის საინფორმაციო სისტემის ერთ-ერთი ელემენტია რისკების შესახებ ანგარიში, რომელიც უნდა მომზადდეს რეგულარულად რისკების მართვის სამსახურის მიერ და სხვა უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, რომლებიც უშუალოდ საბანკო ოპერაციების განმახორციელებელი ქვედანაყოფებისგან დამოუკიდებლები არიან. საბაზრო პირობების ნებისმიერი გაუთვალისწინებელი ცვლილების შემთხვევაში იზრდება ანგარიშგების წარდგენის სიხშირე.

როდესაც ხორციელდება ახალი საინფორმაციო სისტემის, ახალი ტექნოლოგიისა თუ პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება - დანერგვა, ბანკმა უნდა უზრუნველყოს, რომ ამ პროცესმა არ გამოიწვიოს შეფერხება ოპერირებისა და მომხმარებლისთვის მომსახურების მიწოდების კუთხით. ამისთვის მიზანშეწონილია, რომ ჩატარდეს ტესტირება ახალი

სისტემის გამოყენებამდე და დადგინდეს, რამდენად ეფექტურად და ზუსტად ვითარდება პროცესი.

რისკის მართვის პროცესის ერთ-ერთი საკვანძო ეტაპია **აქტივებისა და ვალდებულებების მართვა** (შემდგომში ავმ), რომელსაც ბანკი ახორციელებს საპროცენტო, სავალუტო და ლიკვიდობის რისკების კონტროლისთვის. ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების უფრო ეფექტური მართვისთვის უნდა შემუშავდეს წერილობით გაწერილი პროცედურები და პოლიტიკა, რომლის ფარგლებშიც მოხდება ბანკის ოპერაციებთან და პროდუქტებთან დაკავშირებული საპროცენტო რისკის დადგენა. ამავე პოლიტიკით უნდა განისაზღვროს საპროცენტო რისკის შეფასების სისტემის ფორმატი.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პოლიტიკა და სამოქმედო გეგმა უნდა პასუხობდეს მომხმარებელთა ქცევასა და ბაზრის მდგომარეობას.

ეროვნული ბანკის 48/04 ბრძანების მიხედვით,³ ბანკმა უნდა შექმნას აქტივების მართვის კომიტეტი, რომლის კომპეტენციაც იქნება შემდეგი:

„ ა) ავმ-ის სტრატეგიის შემუშავება, განხილვა და მოდიფიკაცია;

ბ) ბანკის საპროცენტო რისკის პოზიციის შეფასება და ავმ-ის სტრატეგია, რათა უზრუნველყოფილ იყოს, რომ ბანკის მიერ რისკის გაწევის პოზიცია შესაბამისობაში იყოს საპროცენტო რისკის მართვის ამოცანებთან;

გ) აქტივებისა და ვალდებულებების ფასწარმოქმნის სტრატეგიის განხილვა, რათა სახსრების განთავსებისას უზრუნველყოფილი იყოს, რომ ფასწარმოქმნამ მიაღწიოს ოპტიმალურ შედეგებს, მინიმუმამდე შეამციროს სახსრების ხარჯები და შეინარჩუნოს ბანკის საბალანსო უწყისის სტრუქტურა ბანკის ავმ-ის სტრატეგიის შესაბამისად;

დ) ბანკის ფაქტობრივ შედეგებს, ბიუჯეტის გეგმიურ პარამეტრებსა და ბიზნესგეგმებს შორის გადახრების განხილვა; ე) დირექტორატის ინფორმირება საკანონმდებლო და სხვა ნორმატიულ აქტებში ნებისმიერი

³ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N48/04 კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ, თბილისი, 17 ივნისი, 2014 წელი, თავი I, მუხლი 6, პუნქტი 29, გვ.14.

ცვლილების შესახებ, რომელმაც შეიძლება, გავლენა იქონიოს ავმ-ის სტრატეგიასა და პოლიტიკაზე“.

ამავე კანონშივეა გაწერილი, რომ კომიტეტის გადაწყვეტილებებს სისტემა და სამოქმედო გეგმა და მუდმივ გადახედვას უნდა ექვემდებარებოდეს. იგი გარდა იმისა, რომ უნდა ასახავდეს მოქმედ კანონმდებლობაში შესულ ცვლილებებს, ასევე უნდა შეესაბამებოდეს ბანკის მოთხოვნებს, ოპერაციების მოცულობას მიღებულ სარგებელს.

საკრედიტო რისკის შეფასებისას ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია, როცა ბანკი ეყრდნობა მის ხელთ არსებულ ისტორიულ მონაცემებს ცალკეულ რისკთან მიმართებაში და ამის საფუძველზე ახდენს სტრეს ტესტირებას. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ კონკრეტული ბანკის სტატისტიკური მონაცემების მიმართ მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული ბანკის სტანდარტებს.

სტრეს-ტესტის მიზანი და დანიშნულებაა რისკის შეფასება არასტანდარტულ საბაზრო პირობებში ბანკის შესაძლო მოსალოდნელი ეკონომიკური ზარალის შეფასების გზით, რათა განისაზღვროს ბანკის მგრძობელობა რისკ ფაქტორების ცვლილებების მიმართ და დადგინდეს ბანკის პორტფელზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე ფაქტორები.

რისკების შეფასების სისტემა, რომელიც სტრეს-ტესტის დროს იქნება გამოყენებული, უნდა იყოს მოქნილი, რომ მრავალი შესაძლო სცენარის გათვლა იყოს შესაძლებელი. გამოყენებული დაშვებები კი საფუძვლიანი დაკვირვების შედეგად უნდა შემუშავდეს, იმისათვის რომ ბანკის პორტფელში არსებული ტენდენციების იდენტიფიცირება მოხდეს.

კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანების მიხედვით, ბანკმა სტრეს-ტესტი უნდა ჩაატაროს წარსული დიდი საბაზრო ცვლილებების გათვალისწინებით და წარსულში არსებული დიდი მოცულობის ზარალის საფუძველზე.

შედეგების ანალიზის გზით შესაძლებელი უნდა გახდეს პოტენციური ზარალის გაანგარიშება, რა გზითაც ბანკს ეძლევა საშუალება,

შეაფასოს ყველა ტიპის უარყოფითი შედეგი, რაც მის კაპიტალსა და მოგებაში არსებული ცვლილებებით იყოს განპირობებული.

1.2. საბანკო რისკის ძირითადი კატეგორიები

თუმცა, სანამ რისკ მენეჯმენტის პრაქტიკულ მნიშვნელობაზე ვისაუბრებთ, მოკლედ შევეხოთ საბანკო სექტორში არსებულ რისკის სახეებს და მისი მენეჯმენტის წარმართვის პროცესს. ცალ-ცალკე განვიხილოთ ფინანსური და არაფინანსური რისკები.

საბანკო საქმიანობაში წარმოშობილი ფინანსური რისკის სახეებია:

- საკრედიტო რისკი
- საბაზრო რისკი
- საოპერაციო რისკი
- ლიკვიდურობისა და გადახდისუნარობის რისკი
- რეპუტაციის რისკი
- სტრატეგიული რისკი
- შესაბამისობის რისკი

საკრედიტო რისკი რაოდენობრივი და ხარისხობრივი თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებო რისკია, იმდენად, რამდენადაც იგი საბანკო მომსახურებით მოსარგებლეთა კრედიტუნარიანობას და მის განმაპირობებელ ფაქტორებს აერთიანებს. კომერციული ბანკებისთვის სწორედ იგი წარმოადგენს მართვის ყველაზე მთავარ, ამოსავალ წერტილს, მისი საკრედიტო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ასპექტების და პროცედურების ფორმირების საფუძველს.

საკრედიტო რისკი დიდწილადაა კავშირში ქვეყანაში არსებულ არახელსაყრელ და არაპროგნოზირებად პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ მდგომარეობასთან. ეს გარეშე ფაქტორები შეიძლება გახდნენ მიზეზი იმისა, რომ მსესხებლებმა ვერ შეძლონ ბანკის წინაშე აღებული ვალდებულებების კონტრაქტის პირობებისამებრ შესრულება. ამ კატეგორიის რისკის სწორი და ეფექტური მენეჯმენტი მისი

მნიშვნელობიდან გამომდინარეობს. მისი განსაზღვრა შემდეგი პარამეტრებით ხორციელდება:

1. ერთი წლის ჭრილში დებიტორის დეფოლტის სტატისტიკური ანალიზი და შეფასება;
2. დანაკარგის ამოღების სიჩქარე;
3. რისკის ვადიანობა

საკრედიტო რისკი იწვევს ფინანსურ დანაკარგებს, ამცირებს მოგების და ბანკის კრედიტუნარიანობის დონეს. ამ და სხვა მწვავე შედეგების პრევენციის მიზნით ბანკებმა შეიმუშავეს საკრედიტო რისკის გაზომვის მოდელები და მეთოდები. პოტენციური მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასებისთვის ისინი განსაზღვრული რაოდენობრივი და ხარისხობრივი კრიტერიუმებით ხელმძღვანელობენ. მათ შორის აღსანიშნავია: ქვეყანაში/რეგიონში არსებული და დაფინანსების სფეროსთვის დამახასიათებელი ეკონომიკური პირობები კონკრეტული მომენტისთვის და გრძელვადიან პერსპექტივაში, ბიზნესის გამოცდილება, საქმიანობის პოტენციალი, სესხის მიზნობრიობა, მსესხებლის პიროვნული მხარე, ბიზნესის მთლიანი არსებული კაპიტალი, სესხის უზრუნველყოფა, ბიზნესის არსებული საბანკო და არასაბანკო ვალდებულებები, საკრედიტო ისტორია, რეპუტაცია ბაზარზე და პარტნიორებთან და სხვა.

„მენეჯერები ხშირად არიან დიდი მოგების მიღების ცდუნების წინაშე. განსაკუთრებით მაშინ, როცა კონკრეტული პროდუქტი ბაზარზე ახალია და გასაღების სტიმულირების დონე მაქსიმუმზეა ასული. ასეთ შემთხვევებში არ ხდება მოგების არასტაბილურობის მხედველობაში მიღება. ასევე ის, რომ შემოსავალი და რისკი ყოველთვის „დაწყვილებულია“. საცალო საბანკო სერვისის პროდუქტები, მაგალითად იპოთეკური და სამომხმარებლო სესხები ზოგადად გვთავაზობენ უფრო დაბალ უკუგებას, მაგრამ ამ შემთხვევაში ხელთ გვაქვს ნაკლებად მერყევი პროცესი, მეტი

თავის მხრივ **საბაზრო რისკსაც** გააჩნია თავისი ქვეკატეგორიები. იგი მოიცავს:

- საპროცენტო
- საფონდო
- სავალუტო
- სასაქონლო პოზიციების რისკებს.

„საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ბანკის მიერ განხორციელებული სხვადასხვა სახის საქმიანობისგან, როგორცაა: ივესტიციების ინვესტიციების განხორციელება ფასიან ქაღალდებსა და ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებში, სხვადასხვა კომპანიათა კაპიტალში წილობრივი მონაწილეობით, სესხების გაცემით, სავალო ინსტრუმენტების გამოცემით, ვაჭრობის დაფინანსებით და სხვა“.⁵

საპროცენტო რისკი წარმოადგენს ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთების მოულოდნელი ცვლილების შედეგად გამოწვეული ზარალის ალბათობას.

საფონდო რისკი ასახავს ფასიანი ქაღალდების ღირებულების შემცირების იმ რისკს, რომელიც კავშირშია საფონდო ბირჟაზე მიმდინარე ოპერაციებთან.

სავალუტო რისკი უკავშირდება ბანკის შემოსავლის და/ან კაპიტალის ღირებულების შესაძლო შემცირებას უცხოური ვალუტის კურსების გაუთვალისწინებელი ცვლილებიდან გამომდინარე.

პოზიციის რისკი, რომელიც წარმოადგენს საბაზრო პირობების ცვლილების გამო აქტივების ღირებულების კლების ალბათობას, დღევანდელ საფინანსო ინსტიტუტებში, შეიძლება იყოს სპეციალური და

⁴ ვერცი ი. საბანკო მენეჯმენტი და კონტროლი, სტრატეგია, ფასები, კაპიტალი და რისკ მენეჯმენტი, ციურიხი, შვეიცარია 2020

⁵ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება რისკების მართვის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ, ბრძანება #48/04, თბილისი, 2014 წ, 17 ივნისი

ზოგადი. პირველი გულისხმობს ფინანსური ინსტრუმენტის საბაზრო ფასის გაუთვალისწინებელი ცვლილება, რომელიც ემიტენტის, ან თავად ამ ინსტრუმენტის მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული. ხოლო ზოგადი რისკი მოიცავს შესაძლო დანაკარგის ალბათობას ფინანსური ინსტრუმენტის ფასის მოულოდნელი ცვლილების გამო, რაც თავის მხრივ შეიძლება განპირობებული იყოს საპროცენტო განაკვეთის არახელსაყრელი ცვლილებით ან ბაზარზე ფასების მკვეთრი მოძრაობით (როცა ეს მოძრაობა ემიტენტების მიზეზით არაა გამოწვეული).

საოპერაციო რისკი - ამ ტიპის რისკი წარმოიშობა ხარისხის კონტროლის სისტემაში არსებული ხავეზის, შიდა პოლიტიკისა და პროცედურების დაწესებულ სტანდარტებთან შეუსაბამობის, არაეფექტური მომსახურების ან თუნდაც თანამშრომლის მიერ დაშვებული შეცდომით მმართველობით თუ სხვა დონეებზე.

უფრო ფართო სპექტრით თუ განვიხილავთ, რისკები შეიძლება და დავყოთ სისტემურ და არასისტემურ რისკებად. რისკი, რომელიც იწვევს საბანკო ან საფინანსო სისტემის სრულ ჩამოშლას, სისტემურ რისკად მიიჩნევა. ხოლო რაც შეეხება არასისტემურ რისკს, იგი შეიძლება ცალკეული ბანკის გაკოტრების შემთხვევაში წარმოიქმნას, მაგრამ ამ დროს მთლიანად საბანკო სისტემას ზარალი არ აღგება.

თუმცა, სისტემურ რისკად შესიძლება მივიჩნიოთ ისეთი შემთხვევა, როცა რომელიმე ბანკის დეფოლტისას (გადახდისუნარობა) ჯაჭვური რეაქციით იზრდება აჟიოტაჟის დონე და მეანაბრეები პანიკურად იწყებენ დეპოზიტების გატანას არა მხოლოდ დაზარალებული, არამედ სხვა, სრულიად გამართულად ფუნქციონირებადი ბანკებიდანაც. აღნიშნული პროცესი შეიძლება რეზონანსის პრინციპით გავრცელდეს მთლიანად საბანკო სისტემაზე და შესაძლოა, არა მხოლოდ აღნიშნული სისტემის, არამედ მთელი საფინანსო ბაზრის ჩამოშლა გამოიწვიოს. მსხვილი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის გაკოტრება კი მოსალოდნელია, რომ უფრო მსხვილი მასშტაბის პროცესების გამომწვევი გახდეს და სწკო

პანიკის გადადინების ეფექტით (Spillover Effect) ერთი ქვეყნიდან მეორეში გადავიდეს და ტრანსნაციონალური მასშტაბიც კი მიიღოს (გასცდეს კონტინენტურ საზღვრებს).

ამის მაგალითია 2008 წლის აშშ-ს საფინანსო ბაზარზე წარმოქმნილი კრიზისი, რომლის საწყისებიც, თავის მრივ, დაკავშირებული იყო აშშ-ს უძრავი ქონების ბაზარზე იპოთეკური დაკრედიტების კრიზისთან. პროცესი მეტ-ნაკლები სიმძლავრით გავრცელდა მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც და არსებულ საბანკო-საფინანსო სისტემებში მწვავე შედეგების მაპროვოცირებელი აღმოჩნდა.

საკრედიტო რისკის შემდეგ მეორე ყველაზე მაღალი რისკის კატეგორიას წარმოადგენს **ლიკვიდურობის რისკი**. რისკის ეს სახე ახასიათებს იმ საკრედიტო დაწესებულებებს, რომლებსაც არ გააჩნიათ საკმარისი ლიკვიდური აქტივები ვადაგადაცილებული ვალდებულებების დასაფარად. უფრო კონკრეტულად, ესაა რისკი, რომლის მოქმედების ფარგლებშიც ბანკს არ აქვს უნარი, შეასრულოს მისი მიმდინარე ვალდებულებები დეპოზიტარებთან მიმართებაში, რომლებიც თანხას გაიტანენ არასაკმარისი ლიკვიდურობის გამო.

გამომდინარე იქიდან, რომ ბანკის დეპოზიტების მოთხოვნა შეიძლება მოხდეს როგორც ხელშეკრულებით წინასწარ გაწერილ ვადებში, ასევე ვადაზე ადრე, მნიშვნელოვანია, რომ ბანკს ჰქონდეს საკმარისი ლიკვიდურობა, რომ დაუყოვნებლივ დააკმაყოფილონ მეანაბრეთა მოთხოვნა.

ლიკვიდობის რისკის კონტროლისთვის ბანკს უნდა ჰქონდეს გაუთვალისწინებელი მოვლელის ფინანსური უზრუნველყოფის გეგმა, რათა თავიდან აიცილოს ნებისმიერი შესაძლო ზარალი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბანკის მხრიდან სხვა მხარეებთან დაკავშირებული დეფოლტი.

აღნიშნულის უზრუნველსაყოფად უნდა მოხდეს გეგმის შემუშავება, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულ იქნება დამზებები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- ✓ რამდენად სტაბილურია სადეპოზიტო თანხები და როგორ მოძრაობს გამავალი თანხები სტატისტიკური მაჩვენებლების მიხედვით;
- ✓ ფასების ლოგიკური დონეები ფასიანი ქაღალდების გაყიდვის შემთხვევისთვის;
- ✓ ის აქტივები და ლიკვიდობის რეზერვები, რომლებიც ბანკმა შეიძლება გამოიყენოს გირაოს სახით ნასესხები თანხებისთვის;
- ✓ დებიტორის ან მსესხებლის მხრიდან ვალდებულების დროული შესრულების თვალსაზრისით დეფოლტის შესახებლობა;
- ✓ გარესაბალანსო ვალდებულებების (ბანკის მიერ გაცემული გარანტიები, თამასუქები, სესხების დაფინანსებისთვის ნაკისრი ვალდებულებები, გასანაღდებელი აკრედიტივები და ა.შ.) გასტუმრების გზით თანხების გადინების შესაძლებლობა.

რეპუტაციის რისკი შეიძლება მივიჩნიოთ ერთ-ერთ ყველაზე საყურადღებო რისკად. სხვა ფაქტორებთან ერთად მას იწვევს ბანკის ოპერაციებთან დაკავშირებული უარყოფითი შინაარსის საჯარო განცხადებები და ბანკის უარყოფით კონტექსტში წარმოდგენა.

რეპუტაციულ რისკს მნიშვნელოვანი ზეგავლების მოხდება შეუძლია ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე. მისი აღმოფხვრა სხვა რისკებთან შედარებით უფრო რთულია, ვინაიდან ბანკის მიმართ მომხმარებლის ნდობის დაკარგვამ შესაძლოა შეუქცევადი პროცესის სახე მიიღოს და ორგანიზაციის იმიჯი სამუდამოდ შეილახოს.

ბანკის მენეჯმენტმა აქტიურად უნდა იმუშაოს იმაზე, რომ შეაფასოს და დაამტკიცოს რეპუტაციის რისკის კონტოლის პოლიტიკა.

ეროვნული ბანკის ბრძანებაში გაწერილია, რომ „ბანკს უნდა ჰქონდეს სტრუქტურა, რომელსაც ექნება შესაბამისი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, რომ კომპლექსური ინფორმაცია მიაწოდოს კლიენტურას და სხვა დაინტერესებულ პირებს, რაც ბანკის მიერ რეპუტაციის რისკის

კონტროლის შემადგენელი ნაწილი იქნება. ბანკმა უნდა გააუმჯობესოს შესაბამისობა მოქმედ კანონებსა და ნორმატიულ აქტებთან, რაც რეპუტაციული რისკის კონტროლის ნაწილია“.⁶

სტრატეგიული რისკი თავს იჩენს მაშინ, როცა ბანკის სტრატეგია არ პასუხობს გარე ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ ბანკის ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე შესაძლებლობებისა და არსებული თუ მოსალოდნელი საფრთხეების არასიღრმისეული, სუსტი ანალიზი შესაძლოა გახდეს სტრატეგიული რისკის გამომწვევი მიზეზი.

სტრატეგიული რისკის პოლიტიკის ფარგლებში ბანკს გაწერილი უნდა ჰქონდეს ბიზნესგეგმა, რომლის საშუალებითაც გაკონტროლდება პოლიტიკის განხორციელების ვადები, რომელიც მინიმუმ სამწლიანი უნდა იყოს.

სტრატეგიულ რისკზე საუბრისას მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, თუ რა გზით უნდა მოახდინოს ბანკმა თუ ნებისმიერმა საფინანსო ორგანიზაციამ ფუნქციონირება არასტანდარტულ სიტუაციაში. ბიზნეს გეგმაში უნდა არსებობდეს დაშვებები ალტერნატიული, წინასწარ გაწერილისგან განსხვავებული კურსის აღებისას, რაც კომპანიამ შეიძლება განახორციელოს შიდა და გარე ფაქტორების ცვლილების შესაბამისად.

საკანონმდებლო და რეგულაციური სანქციების შედეგად ფინანსური დანაკარგების რისკი, რომელსაც იწვევს საკანონმდებლო დებულებების, წესებისა და სტანდარტების შეუსრულებლობა, ნორმატიულ აქტებთან აცდენა და სხვა სახის დარღვევები, **შესაბამისობის რისკის** ტიპში ერთიანდება.

საფინანსო ორგანიზაციას არა ერთი მიმართულებით შეიძლება წარმოეშვას შეუსაბამობის რისკი, მაგალითად: კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნასთან შეუსაბამობის, აქტივების შესაძლო დანაკარგების

⁶ საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანება #48/04 კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ, თბილისი, 2014 წლის 17 მაისი, VI თავი, მუხლი 33, პუნქტი 4 და მუხლი 36, პუნქტი 1

რეზერვთან ან თუნდაც დაკრედიტების ლიმიტებთან დაკავშირებული შეუსაბამობის შემთხვევებში და სხვა.

შეუსაბამობის რისკი შეიძლება გახდეს ბანკზე დიდი სანქციების დაკისრების მიზეზი, რის გამოც აღნიშნული მიმართულებით მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის არსებობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

შესაბამისობის კულტურის გაზრდისა და ამ მიმართულებით თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ბანკი ვალდებულია, უზრუნველყოს რესურსების გამოყოფა. ადამიანურ რესურსებთან მიმართებაში უნდა ითქვას, რომ მნიშვნელოვანია, ბანკში არსებობდეს სწორი საკომპენსაციო პროგრამა. უნდა ხდებოდეს სტრატეგიული თანამდებობის მქონე თანამშრომელთა როტაცია რისკის შემცირების მიზნით.

ბანკს უნდა გააჩნდეს ეფექტური, დამოუკიდებელი შიდა აუდიტის და რისკის მართვის სამსახურები. ასევე უნდა ფუნქციონირებდეს დარღვევების მონიტორინგის სისტემა. ამ და სხვა მასთან დაკავშირებული მიზნებისთვის თითოეული ბანკი ვალდებულია, ორგანიზაციის შიგნით ჩამოაყალიბოს შესაბამისობის სამსახური და უზრუნველყოს მისი დამოუკიდებლობა.

1.3. საბანკო რისკების მათვის დამკვიდრებული სტანდარტები მსოფლიოში

დღევანდელ მსოფლიო ფინანსურ სისტემაში წინა პერიოდებისგან განსხვავებით საბანკო საქმიანობა უკვე აღარ რეგულირდება ქვეყნების შიდა დონეზე - ერონული ზედამხედველობის ორგანოების მიერ. 1988 წელს აღნიშნული პრაქტიკა ჩაანაცვლა საერთაშორისო დონის მარეგულირებელი დოკუმენტის გამოშვებამ, რომელიც ბაზელ 1-ის შეთანხმების სახელითაა ცნობილი.

საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის ჩამოყალიბებაში საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის წევრმა და დამფუძნებელმა ბანკებმა მიიღეს მონაწილეობა. მათ შორის იყვნენ აშშ, დიდი ბრიტანეთი,

საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები, შვედეთი, შვეიცარია, კანადა და იაპონია.

აღსანიშნავია, რომ ბაზელის კომიტეტის დასკვნები და რეკომენდაციები სავალდებულო ხასიათის არ არის და მათ იურიდიული ძალა არ გააჩნიათ - ისინი მიმართულია მსოფლიო საბანკო სისტემის ერთიან სტანდარტში მოყვანასა და პროცესების სამართლებრივ ჩარჩოებში წარმართვისთვის საჭირო ღონიძიებების შემუშავებისკენ. იგი ასევე იძლევა მითითებებს რისკების თავიდან ასაცილებლად საჭირო აუცილებელი ზომების მიღების შესახებ.

ბაზელის სტანდარტები დღეს ფართოდაა დანერგული მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ცენტრალური ბანკების მიერ და წარმოადგენს მთავარ ორიენტირს საბანკო საქმიანობაში.

ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტი ეტაპობრივად გამოსცემს გაწერილ სტანდარტებს, რომლებიც მიმართულია საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის მეთოდების დახვეწაზე და ამის შესაბამისად საბანკო რისკის შემცირებაზე.

კრიზისების დაძლევისა და რისკების თავიდან აცილების მიზნით ბაზელის კომიტეტის მიერ მოხდა სხვადასხვა ქვეყნის ბანკების სტანდარტიზება საბანკო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნის კუთხით.

ბაზელი 1 -ის სახელით ვიცნობთ 1988 წლის მოხსენებას, რომელიც მოიცავს კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების საერთო მეთოდოლოგიის გამოყენებას ყველა კომერციულ ბანკში. აღნიშნული სისტემის დახმარებით ბანკები ახორციელებენ რისკის წინაშე არსებულ აქტივებთან მიმართებაში კაპიტალის შეფასებას. ამავე დოკუმენტში ვხვდებით „საზედამხედველო კაპიტალისა“ და „პირველი“ და „მეორე დონის კაპიტალის“ ცნებებს. ბაზელი 1 მოიცავს საზედამხედველო კაპიტალის მიმართ მინიმალურ სტანდარტებს (ე.წ. „კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი“). ეს გულისხმობს, რომ,

რისკების მიხედვით შეწონილი აქტივების⁷ შეფარდება საზედამხედველო კაპიტალთან არ უნდა იყოს 8%-ზე ნაკლები.

ბაზელის კომიტეტის მიერ შემუშავებული 2004 წლის ბაზელი 2-ის შეთანხმება, რომელიც ასევე ითვალისწინებს რეგულაციებისა და სტანდარტების ჩამოყალიბებას იმასთან დაკავშირებით, რა მოცულობის კაპიტალი უნდა დაარეზერვოს საფინანსო ინსტიტუტმა რისკის მინიმალურ დონეზე დასაყვანად. ბაზელი II 3 ძირითადი კომპონენტისგან შედგება:

1. საბანკო კაპიტალის მიმართ მინიმალური მოთხოვნები (ჩაშლილია საბანკო, საკრედიტო და საოპერაციო რისკების კუთხით)
2. საზედამხედველო პროცესი - გულისხმობს ამ მიმართულებით პროცედურების გამკაცრებას და ბანკის შიგნით ახალი სტრუქტურის შექმნას, რომელიც განახორციელებს შიდა ზედამხედველობას (შიდა აუდიტის სამსახური). ასევე შიდა სარეიტინგო სისტემების შექმნას საბანკოს რისკის პარამეტრების განსაზღვრის მეშვეობით. უფრო კონკრეტულად, პროცესი მოიცავს საკრედიტო რისკთან დაკავშირებულ ისეთ ასპექტებს, როგორცაა დეფოლტის განსაზღვრა, კრედიტების კონცენტრაციის რისკი, სტრეს-ტესტირება და სხვა.
3. საბაზრო დისციპლინა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა/გახსნილობა - მოიცავს საბანკო დისციპლინის ეფექტურობას ფინანსური ინფორმაციის საჯაროობის თვალსაზრისით, რაც საშუალებას მისცემს ბაზრის მონაწილეებს (მაგალითად აქციონერებს), შეაფასონ მონაცემები რისკიანობის, კაპიტალის, მიმდინარე პროცესების შესახებ. ეს საკითხი დღესდღეობით განსაკუთრებული აქტუალობით გამოირჩევა.

ბაზელი III კომიტეტის სიახლეა ცვლილება საკუთარი კაპიტალის სტრუქტურაში, მოთხოვნის ზრდა კაპიტალის ადეკვატურობის მიმართულებით, კაპიტალის ბუფერების შექმნა და ხარისხის ამაღლება.

⁷ აქტივების საკრედიტო რისკის ხარისხისა და შესაძლო გაუფასურების გათვალისწინებით კლასიფიცირებული აქტივების ერთობლიობა

ასევე გაწერილია ის დამატებითი ღონისძიებები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ბანკებმა, კერძოდ, შესაბამისი ზომების მიღება იმისათვის, რომ უზრუნველყონ ლიკვიდობის ზრდა და არაეფექტიანი კაპიტალის შემცირება.

საქართველოს კომერციულ ბანკებს ბაზელი III -ის სტანდარტების დანერგვამდე უნდა გადაეწყვიტათ საბანკო რისკების შემცირებასთან, საბანკო სესხებისა და ლიკვიდური აქტივების ხარისხის გაუმჯობესებასთან, საბანკო პერსონალისადმი მოთხოვნების ამაღლებასთან დაკავშირებული საკითხები. აქვე აღსანიშნავია გაზრდილი მოთხოვნები ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ რისკებსა და კომპიუტერული ტექნოლოგიების მუშაობასთან მიმართებაში.⁸

⁸ იხილეთ: საქართველოს საერთაშორისო საბანკო ურთიერთობების რეგულირება ბაზელის შეთანხმების საფუძველზე, გოგობია მ. dspace.tsu.ge

თავი II

რისკების ეფექტური მართვის სტრატეგიები თანამედროვე საბანკო სისტემაში

2.1. საქართველოს საბანკო სისტემაში მოქმედი რისკების მართვის სტრატეგიები, მათი ეფექტურობა და უარყოფითი მხარეები

რისკის მართვის სტრატეგიები და ძირითადი მიდგომები მოსალოდნელი საფრთხეებისგან თავდასაცავად საერთოა საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკისთვის. რისკის პრევენციისთვის არსებობს შესაბამისი სამსახურები, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან თავიანთ საქმიანობაში, თუმცა, ამავდროულად კონტროლდებიან ზემდგომი სტრუქტურული ერთეულების მიერ.

საქართველოს საბანკო სისტემაში მოქმედი რისკის მართვის სტრატეგიები, მათი ეფექტურობა და ნაკლოვანებები განვიხილოთ თიბისი ბანკისა და ფინკა ბანკის მაგალითებზე.

რისკების სტრატეგია ფინკა ბანკში უზრუნველყოფს ბანკის მენეჯმენტის მხარდაჭერას ბანკის სტრატეგიული მიზნების მიღწევაში რისკების მისაღები დონის დადგენით და დასაშვები ლიმიტების კონტროლის გზით. სტრატეგიის ფარგლებში ასევე ხდება სხვადასხვა სამოქმედო გეგმების შემუშავება და პროცედურების დანერგვა რისკის შემცირების მიზნით.

ბანკში განისაზღვრება ლიმიტები ყველა მატერიალური რისკის კატეგორიისთვის (საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო და სხვა) რისკის დონის კონტროლის მიზნით. ამასთან, ხდება ბანკის ზრდის შესაძლებლობების ხელშეწყობა.

რისკების სტრატეგია ფინკა ბანკში მიზნად ისახავს: ბანკის მოგებისა და ფინანსური მდგრადობის დაცვას, ციფრული პროდუქტებისა და ინფრასტრუქტურის დაცვას, რეპუტაციული რისკისგან ბანკის დაცვას, ახალი პროდუქტების შემუშავებისა და დამტკიცების პროცესში მონაწილეობის მიღებას, რა დროსაც გათვალისწინებული იქნება კონკრეტული პროდუქტის მომგებიანობასა და რისკს შორის ოპტიმალური თანაფარდობა. რისკის მართვის სტრატეგია აერთიანებს რესურსებს,

პროცედურებსა და სისტემას, რომლის საშუალებითაც ხორციელდება რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და მართვა საბანკო საქმიანობის ყველა ეტაპზე.

ფინკა ბანკში რისკების მართვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები გადანაწილებულია დაცვის სამ დონეზე.

პირველ დონეს წარმოადგენს თავად ბიზნესი - რისკის ამღები ერთეული, რომელიც რისკების იდენტიფიცირებაზე, მართვაზე, სათანადო კონტროლის მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვაზეა პასუხისმგებელი. ამასთან, იგი პასუხისმგებელია იმ დანაკარგებზე, რომელსაც მოსალოდნელი საფრთხის რეალურად დადგომის შემთხვევაში მიიღებს.

რისკების მართვის ფუნქცია - ესაა დაცვის მეორე დონე, რომელიც ზედამხედველობას უწევს რისკების მართვის პროცესს, ქმნის რისკების მართვის ჩარჩოებს და აწესებს რისკების ზღვრულ დონეებს. იგი ასევე ახორციელებს მონიტორინგს ბანკის რისკების პროფილზე და დახმარებას უწევს ბიზნეს ერთეულებს პროცედურების და პოლიტიკის შემუშავებაში, აძლევს რეკომენდაციებს რისკების მინიმიზაციის მიზნით.

შიდა აუდიტი - დაცვის მესამე დონე - წარმოადგენს დამოუკიდებელ ერთეულს, რომელიც გასცემს დასტურს რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის ეფექტური ფუნქციონირების და პროცესების სამართლებრივ ჩარჩოებში მიმდინარეობის შესახებ.

ბანკის რისკების მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტი სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებულ რისკების კომიტეტს ყოველკვარტალურად წარუდგენს რისკების ანგარიშს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას და ანალიზს რისკის ძირითადი ინდიკატორების შესახებ თითოეული რისკის კატეგორიის მიხედვით.

ბანკის საკრედიტო რისკის კონტროლისთვის დგინდება ავტორიზაციის ლიმიტები, რომლებიც გადანაწილებულია შესაბამის პასუხისმგებელ ერთეულებზე. რეგულარული მონიტორინგის საშალებით კონტროლდება ლიმიტების დაცვა. ამასთან, ბანკის სერვის ცენტრის

მხრიდანაც ხორციელდება გაცემული სესხების მონიტორინგი. რისკების კომიტეტზე განიხილება ნებისმიერი გარე მოვლენა, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს სესხის დაგეგმილ ვადებში დაფარვაზე.

აღსანიშნავია, რომ რისკების განყოფილებაში არ მოქმედებს შესასრულებელი სამუშაოს წინასწარ გაწერილი მოცულობა, ე.წ. „გეგმა“, რაც ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღებისას ობიექტურ მიდგომას და გონივრულ ანალიზს.

როგორც ყველა ბანკის შემთხვევაში, ფინკა ბანკზე მოქმედ ძირითადი საბაზრო რისკებს წარმოადგენს სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკები. ბანკში შექმნილია სპეციალური მოდელები თითოეული რისკის შეფასებისთვის. მაგალითად, სავალუტო რისკის შესაფასებლად იყენებენ ბოლო რამდენიმე წლის ლარის დოლართან მიმართებაში გაცვლითი კურსის ყოველდღიური ცვლილების მოდელს.

ლიკვიდობის რისკის მენეჯმენტი ხორციელდება აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტის მიერ. მიმდინარე ლიკვიდობის მართვას კი უზრუნველყოფს ბანკის ხაზინა, რომელიც ლიკვიდობის მოსაზიდად და ფულის ნაკავდების ოპტიმიზაციისთვის ახორციელებს ტრანზაქციებს.

მას შემდეგ, რაც მოხდება მომავალი დაფინანსების საჭიროების განსაზღვრა (დროის, რაოდენობისა და ვალუტის მიხედვით), ლიკვიდობის წყაროების შესაძლო იდენტიფიკაცია (ფულის ბაზრის ინსტრუმენტების გამოყენება - ბანკტაშორისი დეპოზიტები, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან თანხების მოხიდვა) და ლიკვიდობის სამოქმედო გეგმაზე შეთანხმება, ბანკის ფინანსური დირექტორი თითოეულ კრედიტორთან აწარმოებს დაფინანსების პირობებზე მოლაპარაკებებს.

გარდა ამისა, ლიკვიდობის მართვისთვის ხაზინა იყენებს ლიკვიდობის პროგნოზს, რაც ფულის მასების შემოდინება/გადინების პროგნოზირებას გულისხმობს.

ფინკა ბანკში საოპერაციო რისკის მინიმიზაციისთვის ხორციელდება ინციდენტის გამომწვევი ფაქტორების ანალიზი და შემდგომ ტარდება

მაკორექტირებელი ღონისძიებები. რისკის შემცირება ხდება ასევე ცალკეულ რგოლებს შორის არსებული ანგარიშვალდებულების გზით. ამასთან ერთად, ბანკი იყენებს დაზღვევის მექანიზმს საოპერაციო რისკებისგან დასაცავად.

რისკ მენეჯმენტის ერთ ერთი მექანიზმია სტრეს ტესტირება, რომელიც ტარდება ბანკის შიდა დონეზე სხვადასხვა მაკროეკონომიკური სცენარების განხილვის საფუძველზე. მაგალითად, საკრედიტო რისკის სტრეს ტესტის პარამეტრები ჩაშლილია სექტორების მიხედვით და გათვალისწინებულია ლარის კურსის გაუფასურება, ბანკის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების ღირებულების შემცირება და სხვა. თითოეული პარამეტრის ზეგავლენის ყველა ასპექტი ასახულია სტრეს ტესტში. იმ შემთხვევაში, თუ ტესტის შედეგად უარესდებასხვის კატეგორია, გათვალისწინებულია ბანკის პროცედურების შესაბამისად მისი რესტრუქტურის შესაძლებლობა.

ეროვნული ბანკის რეგულაციის მიხედვით ასევე ტარდება საპროცენტო რისკის სტრეს-ტესტები, რომლის საფუძველზეც ფასდება, რა გავლენას იქონიებს ბანკის მომგებიანობაზე ლარისა და დოლარის სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილება.

თიბისი ბანკში რისკ მენეჯმენტის სისტემა მოიცავს ორგანიზაციული, საკრედიტო, ფინანსურ და არაფინანსური რისკების მართვის, რისკის რეპორტირებისა და სხვა დამხმარე რისკების მართვის ინსტრუმენტებისგან. ესენია IT ინფრასტრუქტურა, კაპიტალის მართვა, სტრეს ტესტირების პრაქტიკა და სხვა. ბანკი რისკების მართვის პროცესში როლების მკაფიო გადანაწილების და მათ შორის ეფექტური კომუნიკაციის საშუალებით ხელს უწყობს სტრატეგიული მიზნების რისკების აპეტიტთან⁹ შესაბამისობას და მის სიცხადეს.

⁹ რისკის აპეტიტი - რისკის საერთო, განზოგადებული დონე, რომელსაც ბანკი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად იღებს. მასში ასევე აისახება ბანკის მდგრადობა, გაუძლოს პოტენციური რისკის მატერიალიზაციის შედეგად მიღებული დანაკარგებს კაპიტალის არსებული რესურსების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ აპეტიტის ჩარჩოში მოქცეულ ყველა რისკს აქვს მონიტორინგის ინდივიდუალური სიხშირე, რომელიც ერთი თვიდან ერთ წლამდე შუალედში მერყეობს. რისკის მატარებლები ვალდებულნი არიან, ლიმიტების დარღვევის შემთხვევაში სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოს წარუდგინონ მათი გამომწვევი მიზეზების ანგარიში და სამოქმედო გეგმა, რომლის საშუალებითაც ბანკის რისკის დონე გონივრულ ვადაში დაბრუნდება რისკის აპეტიტის საზღვრებში.

თიბის ბანკში რისკის მართვის სტრუქტურა მოიცავს ორ დონეს: სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოს, რომელთა დაქვემდებარებაშიც ფუნქციონირებს შესაბამისი კომიტეტები:

კომიტეტები, რომლებიც ფუნქციონირებენ სამეთვალყურეო საბჭოს ქვეშ:

- რისკის კომიტეტი (ზედამხედველობს რისკის მართვას და პროფილს)
- აუდიტის კომიტეტი (იგი პასუხისმგებელია სააღრიცხვო პოლიტიკის სანერგვასა და შიდა და გარე აუდიტის საქმიანობის წარმატებით განხორციელებაზე)

კომიტეტები, რომლებიც ფუნქციონირებენ დირექტორთა საბჭოს ქვეშ:

- ორგანიზაციული რისკის კომიტეტი (ახორციელებს ძირითადი რისკების ტენდენციების მონიტორინგს, უზრუნველყოფს რისკის პროფილისა და რისკის აპეტიტის შესაბამისობაში ყოფნას).
- საოპერაციო რისკის კომიტეტი (იღებს გადაწყვეტილებას საოპერაციო რისკის მართვასთან დაკავშირებით)
- აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი (ALCO- Asset-Liability Comitee)
- ინფორმაციული უსაფრთხოების კომიტეტი (პასუხისმგებელია IT სისტემის უსაფრთხოების მექანიზმების შემუშავებაზე)

თიბისი ბანკის რისკის მართვის სტრუქტურა ფინკა ბანკის ანალოგიურად მოიცავს „დაცვის სამ ხაზს“, სადაც დაცვის პირველ ხაზს წარმოადგენენ ბიზნესის საოპერაციო დანაყოფები, რომლებიც იღებენ და მართავენ რისკებს; დაცვის მეორე ხაზია რისკის მენეჯმენტი, რომელიც

ზედამხედველობს რისკს და დაცვის მესამე ხაზი - შიდა აუდიტი, რომელიც ზედა ორი ხაზის შესრულების ხარისხს ამოწმებს.

ბანკში არსებობს რისკების რეპორტირების განყოფილება, რომელიც უზრუნველყოფს სწორი, სანდო და დროული რეპორტირების მიწოდებას და ამ გზით ხელს უწყობს ანალიზისა და მართვის ეფექტიან პროცესს.

აღსანიშნავია რისკების ფუნქციაც, რომელიც რეგულარულად აანალიზებს საკრედიტო პორტფელს ისეთი მაშვინებლების მიხედვით, როგორცაა: პორტფელის მოცულობა, ზრდის ტემპი, სტრუქტურა, ვადიანობა, ვადაგადაცილებული სესხების წონა, რეზერვების ხარჯი, სესხების ჩამოწერა - ამოღების კოეფიციენტები და სხვა.

2.2. ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა საქართველოში, როგორც რისკის პრევენციის ერთ-ერთი გზა

XXI საუკუნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რისკად გვევლინება ფულის გათეთრება, რომლის წინააღმდეგ საერთაშორისო დონეზე შემუშავებულია ეგრედ წოდებული AML პოლიტიკა.

დღეს აღნიშნული პოლიტიკის მიმართ შესაბამისობა კრიტიკულად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს კომერციული ბანკებისთვის. საკითხის აქტუალურობა განპირობებულია იმით, რომ დღეს ბანკი გვევლინება ერთ-ერთ უმთავრეს რგოლად, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პროცესის გამტარ წერტილად იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდა ამ პროცესის მაღალ დონეზე კონტროლი.

| რისკის დონე სექტორების მიხედვით | | |
|-------------------------------------|---------------------------|----------------------------------|
| სექტორი | ფულის გათეთრების რისკი | ტერორიზმის დაფინანსების რისკი |
| საფინანსო მომსახურება | | |
| საბანკო სექტორი | საშუალო | საშუალო-დაბალი |
| საგადახდო მომსახურების პროვაიდერები | საშუალო | საშუალო-დაბალი |
| მიკროსაფინანსო ორგანიზაციები | საშუალო-დაბალი | დაბალი |
| საბროკერო კომპანიები | საშუალო-დაბალი | დაბალი |
| ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები | საშუალო-დაბალი | დაბალი |
| ვალუტის გადამცვლელი პუნქტები | საშუალო-დაბალი | დაბალი |
| სალიზინგო მომსახურება | საშუალო-დაბალი | დაბალი |
| სადაზღვევო სექტორი | დაბალი | დაბალი |
| საკრედიტო კავშირები | დაბალი | დაბალი |
| არასაფინანსო მომსახურება | | |
| სათამაშო ბიზნესი | საშუალო-მაღალი | დაბალი |
| უძრავი ქონების ბაზარი | საშუალო | დაბალი |
| ძვირფასი ქვებით & ლითონებით ვაჭრობა | საშუალო-დაბალი | დაბალი |
| საადვოკატო მომსახურება | საშუალო-დაბალი | დაბალი |
| სანოტარო მომსახურება | დაბალი | დაბალი |
| საბუღალტრო & აუდიტორული მომსახურება | დაბალი | დაბალი |

ფულის გათეთრება ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია, რომელიც არაკანონიერ ფულს აძლევს კანონიერი ბრუნვის შესაძლებლობას. აღნიშნულის მიზანია უკანონოდ მოპოვებული შემოსავლის მიმოქცევაში ჩაშვება შეუმჩნეველად, მისი არაკანონიერების გაცხადების გარეშე. ამ ტიპის დანაშაული საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკურ არასტაბილურობას.

2014 წელს საქართველოს მთავრობის #236 დადგენილებით დამტკიცდა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. სტრატეგია შემუშავებულია ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (Financial Action Task Force) 40 რეკომენდაციის გათვალისწინებით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის არსებული სისტემის შემდგომი გაძლიერების მიზნით.¹⁰

დღეს საქართველოს ფინანსური ბაზარზე ოპერირებად ყველა ბანკის შიდა პოლიტიკით გაწერილი აქვს AML სტანდარტი და პროცედურები,

¹⁰ საქართველოს მთავრობის დადგენილება N236 ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, თბილისი, 2014 წ. 18 მარტი.

რომელთა ფარგლებშიც ხორციელდება ფიზიკური და იურიდიული პირების, ასევე ბენეფიციარი მესაკუთრეების სპეციალური წესის მიხედვით იდენტიფიცირება, პოლიტიკურად აქტიური პირების გამოვლენა, მაღალი რისკის მქონე ქვეყნებიდან კლიენტის გამოვლენა.¹¹

ბოლო პერიოდში განხორციელებულ ცვლილებათაგან აღსანიშნავია შემდეგი: ნაღდი ფულის მოძრაობის კონტროლისთვის ეროვნული ბანკის ბრძანების შესაბამისად, 2021 წლის 15 იანვრიდან შეიცვალა სწრაფი გადახდის აპარატით თანხის შეტანის პრინციპი. კლიენტის მხრიდან განსახორციელებელ პროცედურას დაემატა უშუალოდ შემომტანი პირის ვერიფიკაციის საფეხური.

ამ დრომდე ბანკი ვერ/არ ახდენდა უშუალოდ შემომტანი პირის იდენტიფიცირებას - ცნობილი იყო მხოლოდ ის, თუ ვის სახელზე/ანგარიშზე ხორციელდებოდა თანხის შეტანა. ცვლილების ძალაში შესვლის შემდეგ უკვე მოხდება დამატებითი ვერიფიკაცია: იმ შემთხვევაში, როცა აპარატზე თანხის შემომტანი მესამე პირია, ამის შესახებ ინფორმაცია მოეწოდება ბანკს. პროცედურის გართულებამ უკმაყოფილება გამოიწვია მომხმარებელთა აბსოლუტურ უმრავლესობაში, თუმცა ცვლილებას კონკრეტული მიზანი აქვს.

აღნიშნული ემსახურება ნაღდი ფულის მოძრაობის მეტი კონტროლის გზით უკანონო შემოსავლების გამოვლენას და საჭიროების შემთხვევაში თანხის მიმოქცევის აღკვეთას ისეთ სექტორებში, რაც შეიძლება საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს ქვეყნის ეკონომიკისთვის.

2.3. ეროვნული ბანკის როლი კომერციული ბანკების რისკების მართვაში.

როგორც უკვე ვისაუბრეთ, მნიშვნელოვანია, რომ რისკების მართვის ერთიანი მექანიზმის გათვალისწინებით თითოეულმა ბანკმა შექმნას მისთვის დამახასიათებელი და მის პროდუქტებზე მორგებული რისკის მართვის შიდა სისტემა.

¹¹ აღნიშნულ ქვეყნებს მინიჭებული აქვთ შესაბამისი ზონის სტატუსი არსებული რისკის დონიდან გამომდინარე. არსებობს, დაბალი (მწვანე ზონა), საშუალო (ყვითელი ზონა) და მაღალი რისკის (წითელი ზონა) კატეგორიების მიხედვით დაყოფილი ქვეყნები.

ეროვნული ბანკი რისკებზე ორიენტირებულ საზედამხედველო პროცესს ახლოვრციელებს რისკების შეფასების საერთო პროგრამის (GRAPE – General Risk Assessment Program) ჩარჩოებში. ამ პროცესს "კომერციული ბანკების რისკების შეფასების საერთო პროგრამის მოქმედების წესი" არეგულირებს. რისკების შეფასების საერთო პროგრამა (GRAPE) აფასებს კომერციული ბანკების რისკების დონეს შემდეგი კატეგორიების მიხედვით: საკრედიტო რისკი, ლიკვიდობის რისკი, საბაზრო რისკი, საოპერაციო რისკი, ჯგუფის სტრუქტურა და კორპორაციული მართვა, მაკროეკონომიკური გარემო, ბიზნეს მოდელი და მომგებიანობა. პროგრამა ასევე ითვალისწინებს ბანკის პოტენციურ წვდომას რესურსებზე რისკების დადგომის შემთხვევაში.

გარდა ამისა, კანონით რეგულირდება ისეთი მიმართულებები, როგორცაა, მაგალითად კომერციული ბანკების მიერ რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესი. მოქმედების გეგმა გაწერილია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 10 აგვისტოს გამოცემულ ბრძანებაში „კომერციული ბანკების მიერ ბანკების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის შესახებ“,¹² რომლის მიზანია, კომერციულმა ბანკებმა უზრუნველყონ შიდა პროცედურებისა და საანგარიშგებო მოთხოვნების ჩამოყალიბება და შესრულება აქტივების კლასიფიკაციისა და რეზერვებთან დაკავშირებული ვალდებულებებისათვის. მათ უნდა გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები და ზემოაღნიშნული ბრძანებით გაწერილი მოთხოვნების შესრულებისთვის.

ამ წესით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება მოეთხოვება საქართველოში მოქმედ ყველა კომერციულ ბანკს და უცხოური ბანკის ფილიალებს.

ეროვნული ბანკი მიზნად ისახავს, კომერციული ბანკების მიერ სრული, ზუსტი და ამომწურავი ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის გზით ხელი შეუწყოს ამავე ბანკების რეალური ფინანსური მდგომარეობის დადგენას და

¹² საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანება კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ, ბრძანება N117/04, ქ. თბილისი, 10 აგვისტო, 2017 წელი.

გასაჯაროებას ბანკის დეპოზიტარებისთვის, აქციონერების, პოტენციური ინვესტორების, მენეჯმენტის თუ სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის.

ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის ძირითადი შემადგენელი ნაწილია კომერციული ბანკების მიერ თავიანთი აქტივების კლასიფიცირება რისკის გათვალისწინებით და ამის შემდგომ შესაბამისი მოცულობის რეზერვების შექმნა შესაძლო დანაკარგების დასაკომპენსირებლად.

ზემო აღნიშნული პროცესის ფარგლებში კომერციულ ბანკებს მოეთხოვებათ წერილობითი ფორმით ჩამოყალიბებული პოლიტიკისა და პროცედურების ქონა.

პირველ რიგში ბანკებს მოეთხოვებათ აქტივების კლასიფიკაცია და უკვე ამის შემდგომ შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვების შექმნა. აქტივების კლასიფიცირება კი უნდა განხორციელდეს აქტივების ხარისხზე გავლენის მქონე ყველა გარემოების დეტალური ანალიზის შემდეგ.

ყურადღება მისაქცევია, რომ დანაკარგების რეზერვების ანგარიში იქმნება ნებისმიერი ვალუტით ფორმირებული აქტივების დასაფარავად, მაგრამ თავად დანაკარგის რეზერვი იქმნება საქართველოს ეროვნული ვალუტით.

ბრძანების მე-4 მუხლი ასახავს აქტივების კლასიფიკაციის სისტემას, რომლის მიხედვითაც სესხების კლასიფიკაცია წარმოებს ხუთი კატეგორიის მიხედვით. ესენია:

1. სტანდარტული სესხები;
2. საყურადღებო სესხები;
3. არასტანდარტული სესხები;
4. საეჭვო სესხები;
5. უიმედო სესხები

კომერციული ბანკი ვალდებულია, ყოველვიურად მოახდინოს აქტივების კლასიფიცირება ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ მსესხებლისა და დაკავშირებული პირების ყველა

მიმდინარე სესხს, როგორც წესი, ენიჭება ერთი კატეგორია. რამდენიმე კატეგორიის მინიჭების შემთხვევა წარმოადგენს გამონაკლისს და იგი არგუმენტირებული და სრულყოფილად დასაბუთებული უნდა იყოს.

„სესხი კლასიფიცირდება **სტანდარტულად**, თუ მისი ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდა მუდმივად დროულად წარმოებს. ამასთან, მსესხებლის ლიკვიდობა, კაპიტალი და გადახდის უნდარი სტაბილურია“.¹³ „ყველა კომერციულ ბანკს მოეთხოვება საერთო რეზერვის შექმნა თითოეული სტანდარტულად კლასიფიცირებული სესხისათვის სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 2%-ის ოდენობით“ (გარკვეული გამონაკლისი შემთხვევების გამოკლებით, რომლებიც თემაში არ არის განხილული, რათა ძირითადი საკითხიდან გადახვევა არ მოხდეს). „სტანდარტულად კლასიფიცირებული სესხი არ უნდა იყოს 30 დღეზე მეტი პერიოდით ვადაგადაცილებული“.¹⁴

სესხი იძენს კლასიფიკაციას „**საყურადღებო**“ იმ შემთხვევებში, თუ:

- სესხის გაცემის შემდგომ პერიოდში მსესხებლის ფინანსურ მდგომარეობასა და გადახდის უნარში გარკვეული ხარვეზები გამოიკვეთა (იმის მიუხედავად, რომ სესხის გაცემის მომენტისთვის ორივე პარამეტრი სტაბილური ჩანდა).
- გამსესხებელი ბანკის განმეორებითი მოთხოვნის შემდეგად კი მსესხებელმა ვერ წარადგინა ფინანსური მდგომარეობის ამსახველი რომელიმე დოკუმენტი: საბალანსო, მოგება-ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობის (Cash Flow), ბიზნესგეგმის უწყისები და ა.შ, რაზეც დადებული იყო წინასწარი შეთანხმება.
- მსესხებლის ბიზნეს საქმიანობაში, ან ზოგადად ბაზარზე მოსალოდნელია ისეთი ცვლილებები, რომლებმაც შესაძლოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს მსესხებლის მომავალ მოგების დონესა და ბიზნესის სტაბილურობაზე.

¹³ ბრძანება კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ, ბრძანება N117/04, ქ. თბილისი, 10 აგვისტო, 2017 წელი, მე-5 მუხლი, 1-ლი პუნქტი, გვ. 8

¹⁴ იქვე (იხ. სქოლიო 6) მე-5 მუხლი, მე-7-მე-8 პუნქტები, გვ.10

სესხის „საყურადღებოდ“ კლასიფიცირების დროს ვადაგადაცილების პერიოდი არ აღემატება 60 დღეს. ყველა კომერციულ ბანკს აქვს ვალდებულება, შექმნას რეზერვი სესხის ძირითადი თანხის იმ დროისთვის დარჩენილი ნაშთის 10%-ის ოდენობით თითოეული საყურადღებოდ კლასიფიცირებული სესხისთვის.

თითოეული არასტანდარტულად კლასიფიცირებული სესხისთვის კომერციულ ბანკებს მოეთხოვებათ სპეციალური რეზერვის შექმნა სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 30%-ის ოდენობით. ეს სტატუსი სესხს ენიჭება, თუ: მსესხებლის კაპიტალი, გადახდის უნარიანობა, მოგება, გირაოს ან იპოთეკის ღირებულება სრულად არ შეესაბამება სესხის ოდენობას.

ასეთ სესხებს როგორც წესი, აქვს ისეთი პრობლემა/პრობლემები, რაც საფრთხეს უქმნის ან საეჭვოს ხდის სესხის გადახდის პროცესის გეგმის მიხედვით წარმართვას; ასევე, თუ დგება მომენტი, როცა სესხის გადახდის ძირითად წყაროები - ბიზნესის კაპიტალი და მოგება არ არის საკმარისი სესხის გასასტუმრებლად და ამისთვის ბანკს ესაჭიროება უზრუნველყოფის საგნის რეალიზაცია, სხვა აქტივის გაყიდვა ან მსესხებლის სხვა ვალების რესტრუქტურირაცია (ამას შესაძლოა, თან ერთვოდეს ბიზნესში არსებული სხვა პრობლემებიც).

არასტანდარტული სესხების ვადაგადაცილების პერიოდი მერყეობს 60-დან 120 დღემდე (დამოკიდებულია უზრუნველყოფის ფორმებზე).

საეჭვო სესხებისთვის კომერციულ ბანკებს ეროვნული ბანკი უწესებს რეზერვის სტანდარტს სესხის ძირითადი თანხის დარჩენილი გადაუხდელი ნაშთის 50 %-ის ოდენობით. ასეთ კლასში ერთიანდება სესხი, თუ მას აქვს არასტანდარტული სესხის მახასიათებლები და თან ერთვის სხვა გარკვეული ფაქტორებიც. საეჭვოდ კლასიფიცირებული სესხების ვადაგადაცილების პერიოდი მერყეობს 120-დან 150 დღემდე (დამოკიდებულია უზრუნველყოფის ფორმებზე).

უიმედოდ სესხის კლასიფიცირება ხდება იმ შემთხვევებში, როცა მსესხებელი ხდება გადახდის უუნარო და ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა დაგვიანებულია 150-დან 180 ან მეტი დღით. ასევე იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესის ბოლოდროინდელი მდგომარეობის შესახებ არსებული ინფორმაციის მიხედვით სესხის ამორება მთლიანად შეუძლებელია, ან მოსალოდნელი ამოღებული თანხის ოდენობა არ შეესაბამება ამ პროცედურებზე გაწეული დროისა და თანხის დანახარჯებს.

ეროვნული ბანკივე არეგულირებს, რომ ასეთ შემთხვევაში კომერციულმა ბანკმა მისი ძალისხმევის ფარგლებში უზრუნველყოს უიმედო სესხების კანონიერად ამოღება სათანადო ზომების გამოყენებით კანონმდებლობით გათვალისწინებულ ჩარჩოებში.

| სესხის კლასიფიკაცია | ვადაგადაცილებული გადახდები შეთანხმებული გადახდის დღიდან | სავალდებულო რეზერვები (სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის %) |
|---------------------|---|--|
| სტანდარტული | 0-30 | 2% |
| საყურადღებო | 30-60 | 10% |
| არასტანდარტული | 60-120 | 30% |
| საეჭვო | 120-150 | 50% |
| უიმედო | 150 დღე და მეტი | 100% |

რეგულირების პროცესის ერთ ერთი ელემენტს წარმოადგენს ასევე მონეტარული პილიტიკის, იგივე რეფინანსირების განაკვეთი. იგი ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტოპოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტია.


მონეტარული საპროცენტო განაკვეთის ცვლილებაზე გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ მიმდინარე და მოსალოდნელ ეკონომიკურ

პროცესებზე დაკვირვების შედეგად. კომიტეტის მიერ მონეტარული პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებლის გათვალისწინება ხდება, ვინაიდან გატარებული პოლიტიკის შედეგი დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ ასახება ქვეყნის ეკონომიკაზე.

იმ შემთხვევაში, თუ პროგნოზირებული მაჩვენებელი აღემატება ინფლაციის მიზნობრივ დონეს, ეროვნული ბანკი ამკაცრებს მონეტარულ პოლიტიკას და მოამატებს საპროცენტო განაკვეთს მომავალში ფასების დონის მატების შეზღუდვის მიზნით. აღნიშნულის შედეგად მცირდება ერთობლივი მოთხოვნა, რაც ფასების ზრდის ტემპზე მოახდენს ზეგავლენას.¹⁵

ამის საპირისპიროდ, როდესაც ერთობლივი მოთხოვნის დონე დაბალია და ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი მიზნობრივზე დაბლაა, ეროვნული ბანკი ამცირებს საპროცენტო განაკვეთს, რაც შემდგომში ამცირებს სესხებზე არსებულ საპროცენტო განაკვეთს და ასტიმულირებს ერთობლივი მოთხოვნის ზრდას.

ქვემოთ მოცემულია რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების დინამიკა 2008 წლის ნოემბრიდან 2021 წლის ივნისამდე პერიოდში.



ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილებებს უფრო ნათლად ასახავს შემდეგი მონაცემები:

¹⁵ იხილე მონეტარული პოლიტიკის რეფინანსირების განაკვეთი <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=555> , ბოლო გადამოწმება: 05.07.2021

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი და კომიტეტის გადაწყვეტილებები
(პ.პ - პროცენტული პუნქტი)

| 2021 | | |
|----------------------------|----------------|---------------------|
| თარიღი | ცვლილება (პ.პ) | ახალი განაკვეთი (%) |
| 23.06.2021 | 0 | 9.50 |
| 28.04.2021 | +1.0 | 9.50 |
| 17.03.2021 | +0.50 | 8.50 |
| 03.02.2021 | 0 | 8.00 |

რეფინანსირების განაკვეთის 9.5%-იან ნიშნულამდე ზრდა ნიშნავს, რომ 124 700 მსესხებელს ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 1%-ით გაეზრდება. ეს კი დამატებით ტვირთად დააწვება როგორც ბიზნესს, ისე იმ ფიზიკურ პირებს, რომლებსაც ყოველთვიური ფიქსირებული შემოსავალი აქვთ ხელფასის, გზავნილის, იჯარის ან სხვა სახით. გაზრდილი შენატანის შესაბამისად, იზრდება სესხების დაფარვის რისკიც.

ექსპერტების მოსაზრებით, მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების შედეგად რთულ სიტუაციაში უმთავრესად ბიზნესი აღმოჩნდება. აქამდე ბიზნესის ერთ-ერთი პრობლემას არასტაბილური ლარი წარმოადგენდა, ახლა კი „პრობლემების ჩამონათვალს ძვირი ფულიც დაემატება“. თუ აქამდე ეროვნულ ვალუტაში არსებული სესხების განაკვეთი 12,5% - 14% -ის ფარგლებში მერყეობდა, ახლა 16 პროცენტი გახდება, რაც ზედმეტად მაღალი განაკვეთია. აღნიშნული სალტერნატივა - დოლარში სესხის აღება კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული გაურკვევლობის ფონზე რისკის შემცველია ბიზნესისთვის.¹⁶

„ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული 7423.1 მლნ ლარის მოცულობის სესხია გაცემული 124.700 მომხმარებელზე. 124.700

¹⁶ ბეჟაშვილი ვ. მენეჯმენტ-საკონსულტაციო კომპანია EBIT Group-ის მმართველი პარტნიორი, ინტერვიუ ინტერნეტ გაზეთ „Sputnik-საქართველოსთან“, სტატიის ავტორი - ნატა პატარაია, 30.04.2021

ხელშეკრულებიდან 36.200 სამომხმარებლო ტიპის სესხია, მოცულობა კი - 987.7 მილიონი ლარი“.¹⁷

2.4. რისკების მართვის სტრატეგიები საზღვარგარეთის ქვეყნების საბანკო სისტემებში

პანდემიით გამოწვეული კრიზისი შეეხო ევროპისა და ამერიკის ბანკებს. ბევრმა მათგანმა დიდი ოდენობის ზარალი განიცადა. კრიზისის საპასუხოდ ევროპის ცენტრალურმა ბანკმა მიზნობრივი სასესხო პროგრამების საშუალებით გააგრძელა იმ ბანკების მხარდაჭერა, რომლებიც აფინანსებენ ეკონომიკის მნიშვნელოვან დარგებს.

2020 წლის 10 დეკემბერს ევროპის ცენტრალური ბანკის (ECB) მმართველმა საბჭომ ხელახლა მოახდინა მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების გადასინჯვა. მან 500 მილიარდი ევროთი გაზარდა პანდემიის გადაუდებელი დახმარების შესყიდვის პროგრამის (PEPP)-ის ბიუჯეტი. რის შემდეგაც საორიენტაციო ბიუჯეტმა 1850 მილიარდ ევროს მიაღწია.

ევროპის ცენტრალური ბანკის პანდემიური გადაუდებელი დახმარების შექმნის პროგრამა (PEPP) არის არასტანდარტული მონეტარული პოლიტიკის ღონისძიება, რომელიც ინიცირებულ იქნა 2020 წლის მარტში მონეტარული პოლიტიკისთვის დამახასიათებელ გადაცემის მექანიზმთან დასაპირისპირებლად და ასევე კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიური აფეთქების მოსალოდნელი შედეგის თავიდან ასაცილებლად.

ამასთან, გახანგრძლივდა პანდემიასთან ადკავშირებით დაწესებული დაბალი საპროცენტო განაკვეთის ვადები, რაც, ევროპის ცენტრალური ბანკის მოსაზრებით, შექმნის ერთობ მიმზიდველ პირობებს. აღნიშნული პირობა (დაბალი საპროცენტო განაკვეთის არსებობა) ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ბანკების


¹⁷ პატარაია ნ. ინტერნეტ გაზეთი „Sputnik–საქართველო, სტატია: „რას მოუტანს 9.5 პროცენტის რეფინანსირების განაკვეთი ლარს და ბიზნესს“, sputnik-georgia.com 30.04.2021

მალისხმევას, შეეჩერებინათ სესხების გადინება (კლება) პანდემიით შექმნილი დიდი წნეხის გამო.

კრიზისის საპასუხოდ ევროპულმა ბანკებმა 2020 წელს მნიშვნელოვანწილად უფრო მეტი თანხის გაღება სესხებზე შესაძლო დანაკარგებისთვის, ვიდრე 2019 წელს. თანხის ოდენობა 113%-ით აღემატებოდა წინა წლის მონაცემს.

რაც შეეხება აშშ-ს ინტიტუტებს, მათ დააფიქსირეს უმნიშვნელო ზრდა 2019 დან 2020 წლამდე პერიოდში, თუმცა სესხებზე ზარალის ოდენობა 161 საბაზისო პუნქტამდე გაიზარდა, რაც წინა წლის მონაცემთან შედარებით 137%-ით მატებას ნიშნავს.

ქვემოთ მოცემულია ევროპისა და ამერიკის 50-ზე მეტი ბანკიდან მიღებული მონაცემების მიხედვით შედგენილი დიაგრამა. პირველ დიაგრამაზე წარმოდგენილია ევროპის ბანკების, ხოლო მეორეზე - აშშ-ს ბანკების მონაცემები (ევროპის ქვეყნებიდან მოცემულია შემდეგი ქვეყნების ბანკების მონაცემები: ავსტრია, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ჰოლანდია, ნორვეგია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია და დიდი ბრიტანეთი)



იმის გათვალისწინებით, თუ რა გამოწვევები აქვთ ბანკებს დღესდღეობით, ევროპისა და აშშ-ს მარეგულირებელი ორგანოები სავარაუდოდ უფრო მოქმილნი დარჩებიან. ისინი შეარბილებენ მარეგულირებელ წესებს და

კვლავ მისცემენ ბანკებს იმის შესაძლებლობას, რომ გამოიყენონ თავიანთი კაპიტალი და ბუფერული ზონები.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი, შედარებით მოქნილი მარეგულირებელი ზომების უმეტესობა დროებითია, ბევრმა რეგიონულმა ხელისუფლებამ დაადასტურა, რომ მათი პანდემიასთან დაკავშირებული მიდგომა გაგრძელდება 2021 წლამდე და შესაძლოა 2022 წლამდეც კი. აშშ-ს ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ ასევე შეარბილა ბანკების მიმართ მოთხოვნები მოსალოდნელი ზარალის ოდენობიდან გამომდინარე.

რაც შეეხება სამომავლო პროგნოზს, სავარაუდოდ მარეგულირებელი ორგანოები უფრო მეტ ყურადღებას გაანახვილებენ ფულის გათეთრების საწინააღმდეგო საკითხებზე. მაგალითად, ევროპის საბანკო ორგანომ (EBA) მოამზადა რეგულაციის პროექტი, რომელიც რეგიონში მოქმედ ბანკებს მოსთხოვს მკაცრი კონტროლის დაწესებას, რათა შეამცირონ უკანონო შემოსავლების რისკი. აშშ-ში, ეროვნული თავდაცვის ავტორიზაციის აქტი,¹⁸ აფართოებს ფინანსური დანაშაულის აღსრულებას არამერიკულ ბანკებზე.

¹⁸ ეროვნული თავდაცვის ავტორიზაციის აქტი 2021 ფისკალური წლისთვის - National Defense Authorization Act for Fiscal Year 2021- ამოქმედდა 2021 წლის იანვარში

III თავი

რისკების მართვა კომერციული ბანკებისთვის COVID-19 პანდემიის პერიოდში

3.1. პანდემიით გამოწვეული რისკები საბანკო სექტორში

ისეთი მცირე ზომის ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, რომელსაც ახასიათებს დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და საერთაშორისო ფინანსირ ნაკადებზე მზარდი დამოკიდებულება, დიდი მნიშვნელობის მატარებელია გლობალური ეკონომიკური და ფინანსური ტენდენციები.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, მსოფლიო მასშტაბით COVID-19 პანდემიით გამოწვეულმა შოკმა მნიშვნელოვნად შეაფერხა ეკონომიკური აქტივობა, შეამცირა ფინანსური ნაკადების შემოდინება და საფრთხე შეუქმნა მსოფლიოს უკლებლივ ყველა ქვეყნის საფინანსო სექტორს. ამასთან, პანდემიის გავრცელების მასშტაბებთან და მის ხანგრძლივობასთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ კიდევ უფრო მეტად შეანელა ქვეყანაში და მთელს მსოფლიოში მიმდინარე ფინანსური და ეკონომიკური პროცესები.


2020 წლის 9 აპრილს საქართველოში საერთაშორისო საბალუტო ფონდის მუდმივი წარმომადგენლის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) კავკასიის რეგიონული დირექტორის, სამხრეთ კავკასიის რეგიონში მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორის, აზიის განვითარების ბანკისა და სხვა მაღალჩინოსნების სახელით ერთობლივად გაეგზავნა „ღია წერილი საქართველოს მთავრობას და ხალხს“. მასში აღწერილია ეკონომიკური კრიზისის მასშტაბებით გამოწვეული მოსალოდნელი მსოფლიო ეკონომიკური რეცესია.

ხელმძღვანელთა მოსაზრებით, პანდემიის შედეგები მსოფლიო ფინანსურ კრიზისზე უარესი იქნებოდა და გაიზრდებოდა ეკონომიკური ზარალი ყველა ქვეყანაში. ამ მხრივ განსაკუთრებული რისკის ქვეშ იდგა საქართველო, როგორც ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა, რომელიც დამოკიდებულია ტურიზმზე, ვაჭრობასა და საზღვარგარეთიდან შემოსულ ფულად გზავნილებზე.

რეალურად COVID-19 პანდემიამ მართლაც უარყოფითი გავლენა იქონია ფინანსურ სექტორზე. ეკონომიკური აქტივობის შეფერხების ფონზე გაიზარდა

ფინანსური სტრესის ინდექსი (FSI). ამთან, ფინანსურ ბაზარზე გაიზარდა საკრედიტო რისკი და დანაკარგები. აქვე აღსანიშნავია, რომ შენედა სესხების ზრდა პანდემიის სწრაფად გავრცელების შესაჩერებლად შემოღებული შეზღუდვების გამო.

დიაგრამა: ფინანსური სტრესის ინდექსი (საშუალოდან გადახრა)¹⁹



პანდემიის პერიოდის გამოცდილებამ ნათელ ჰყო, რომ დამკვიდრებული სამუშაო პრაქტიკა შესაძლოა ნებისმიერ წინასწარ განუსაზღვრელ დროს დაირღვეს და ასეთ შემთხვევაში კომპანიებმა მარტივად უნდა შეიმუშაონ მოქმედების ალტერნატიული გეგმა.

აღნიშნულ პერიოდში ეკონომიკური ზრდის შენეებამ უარყოფითად იმოქმედა მსესხებლის გადახდისუნარიანობაზე, რამაც შეზღუდა მათი სამომავლო გაფართოების და ბიზნესში ინვესტირების გეგმები. პროცესი პირდაპირ აისახა ბანკის პორტფელის ხარისხსა და მომგებიანობაზე, რამაც პორტფელის ზრდის ტემპის შეფერხებაც გამოიწვია.

პანდემიით გამოწვეულმა მაკროეკონომიკურმა მოვლენებმა რისკის წინაშე დააყენა ბანკის მუშაობის შედეგები, რაც განპირობებული იყო

¹⁹ წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსური სტაბილურობის ანგარიში 2020

სხვადასხვა პარამეტრზე ზემოქმედებით, როგორცაა: ვალუტის გაუფასურება, უმუშევრობის დონის ზრდა, ფიზიკური პირების და ბიზნესის შემოსავლის შემცირება, ქონების ღირებულების შემცირება, გაყიდვების შემცირების გამო კომპანიების გადახდისუნარიანობის დონის შემცირება და სხვა.

მაგალითისთვის, 2020 წლის მანძილზე ფინკა ბანკის საკრედიტო რისკი გაიზარდა, რაც განპირობებული იყო პანდემიის გამო ქვეყანაში შექმნილი ვითარებით. კოვიდ - 19 მორატორიუმის ფარგლებში გადავადებული სესხების მოცულობა შეადგენდა მთლიანი სასესხო პორტფელის 31.3%-ს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აქედან გამომდინარე, ეროვნული ბანკის მოთხოვნის შესაბამისად შექმნილმა საერთო რეზერვმა შეადგინა 1.902.225 ლარი.

რაც შეეხება სასესხო პორტფელის სარგებლის მოცულობას, იგი შემცირდა 2.33%-ით. ქვემოთ მოყვანილია ფინკა ბანკის მონაცემები 2019-2020 წლების მიხედვით.

| სარგებელი სასესხო პორტფელზე | |
|-----------------------------|--------|
| 2020: | 22.26% |
| 2019: | 24.59% |

სარგებელი სასესხო პორტფელზე
 2020 წლის მანძილზე სასესხო პორტფელზე სარგებლის შემცირება განაპირობა პანდემიის შედეგად NPL სესხების წილის ზრდამ.

20

3.2. საბანკო პოლიტიკაში განხორციელებული ცვლილებები

Covid-19 პანდემიის პირობებში ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებისა და საფინანსო სექტორზე უარყოფითი ზეგავლენის შესუსტების მიზნით მთელი რიგი ღონისძიებები გატარდა ეროვნული ბანკისა და მთავრობის მხრიდან, რომელთაგან თითოეული ემსახურებოდა სხვადასხვა მიზნებს, მათ შორის:

²⁰ NPL სესხები - (NonPerforming Loan) - სესხი, რომელზეც მსესხებელი გადაფოლტდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში გრაფიკით დაგეგმილი შენატანების გადაუხდელობის გამო. „გადაუხდელობაში“ როგორც წესი, იგულისხმება ნულოვანი შენატანი სესხზე. სტატუსის მისანიჭებლად გადაუხდელობის პერიოდის ვადა განსხვავებულია დარგის და სესხის ტიპის მიხედვით (90 ან 180 დღე). NPL სტატუსი შესაძლოა მიენიჭოს სხვა შემთხვევაშიც, რაც დამოკიდებულია კონკრეტული სესხის პირობებზე.

- ✓ საზედამხედველო ტვირთის შემსუბუქება ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტებისთვის;
- ✓ დაკრედიტების ხელშეწყობა;
- ✓ ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა;
- ✓ ლიკვიდობის მხარდაჭერა;
- ✓ სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის მიწოდება;
- ✓ დაკრედიტების სტიმულირება/ წახალისება

საზედამხედველო ტვირთის შემსუბუქების მიზნით ეროვნულმა ბანკმა მოახდინა სესხებზე საშერავათო პერიოდის წახალისება და დროებით შეცვალა დარეზერვების პოლიტიკა, ამასთან, საზედამხედველო რეფორმებსა და სანქციებზე გამოაცხადა მორატორიუმი.

დაკრედიტების ხელშეწყობისთვის დროებით გადავადდა 2020 წლის მარტში დაგეგმილი პირველადი კაპიტალის მოთხოვნების ზრდა (საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკისა და წმინდა GRAPE ბუფერისთვის).²¹ გარდა ამისა, გადავადდა „რისკის პოზიციების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულების“ ამოქმედება, რომელიც 2020 წლის ივნისში იყო დაგეგმილი.

ამავე მიზანს ემსახურებოდა ისიც, რომ პანდემიის გავრცელების შეზღუდვის მიზნით შეჩერდა ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების ადგილზე შემოწმება, გამარტივდა დაკრედიტების პროცედურები, რის მიხედვითაც დროებით აღარ მოითხოვებოდა უძრავი ქონების ადგილზე მისვლის გზით შფასება. გარდა ამისა, ფინანსური უწყისების განახლებასთან დაკავშირებით შემსუბუქდა მოთხოვნები.

გაფორმდა 200 მლნ აშშ დოლარის სვოპ ხელშეკრულება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD), რაც საშუალებას

²¹ ეროვნული ბანკის მიერ რისკების შეფასების საერთო პროგრამის რისკის კატეგორიების შეფასებისა და ბანკის შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესის შედეგების განხილვის ფარგლებში დაწესებული ბუფერი;

ამლევს EBRD-ს, გაზარდოს ადგილობრივ ვალუტაში კერძო სექტორის დაფინანსება.²²

ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობისთვის დაწესდა შეზღუდვები ბანკებისთვის დივიდენდების გაცემაზე, აქციების გამოსყიდვასა და კაპიტალის შემცირებაზე სხვა ფორმით.

ლიკვიდობის მხარდასაჭერად ლიკვიდობის სამომავლო რისკებისგან თავდასაცავად პანდემიის პირობებში ეროვნულმა ბანკმა დროებითი ინსტრუმენტები ამოქმედა, ესენია: სავალუტო სვოპი, მუდმივმოქმედი სავალუტო სვოპი და ლიკვიდობის მიწოდების ინსტრუმენტი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის.

ეროვნული ბანკი სვოპ ოპერაციებით თავად ყიდულობს უცხოურ ვალუტას სპოტ კურსით, მისი უკან გაყიდვის პირობით ფორვარდული კურსით. მიკრო საფინანსო ორგანიზაციებს და კომერციულ ბანკებს ლარის ლიკვიდობა მიეწოდათ სვოპ ოპერაციებით, რომელთა ჯამური ლიმიტი 400 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. აღნიშნული სქემის მონაწილე ინსტიტუტებს შორის სვოპის მთლიანი თანხა მათი საბაზრო წილის პროპორციულად განაწილდა. გარდა ამისა, ერთ ორგანიზაციაზე დაწესდა მაქსიმალური ლიმიტი - მთლიანი მოცულობის 25%-ის ოდენობით, რამაც უზრუნველყო მცირე ზომის ბანკებისთვის რესურსების ხელმისაწვდომობა და ამასთან, ზედმეტი კონცენტრაციის თავიდან აცილებასაც ემსახურებოდა.

ამასთან, ეროვნულმა ბანკმა აამუშავა მუდმივმოქმედი სვოპ ინსტრუმენტი, რაც დამატებითი შესაძლებლობაა ბანკისთვის უცხოური ვალუტის სანაცვლოდ ლარის საჭირო ლიკვიდობის მისაღებად საჯარიმო საპროცენტო განაკვეთის ხარჯზე.

ეროვნულმა ბანკმა 2020 წლის 1-ლი ივნისიდან მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისთვისაც ამოქმედა ორკომპონენტური ლიკვიდობის ინსტრუმენტი. პირველი კომპონენტი განკუთვნილია კომერციული ბანკებისთვის, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ, ეროვნული ბანკისგან

²² იხილეთ: საქართველოს ეროვნული ბანკის საგანგებო ღონისძიებები COVID-19-თან დაკავშირებით, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=754>

ლიკვიდობის მხარდაჭერა მიიღონ სასესხო პორტფელის დაგირავების სანაცვლოდ. მეორე კომპონენტი კი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სასესხო რესურსებით უზრუნველყოფას ემსახურება.

„ლიკვიდობის მართვის ახალი მექანიზმი 2023 წლის ბოლომდე (2022 წლიდან შემცირებული გრაფიკით), ყოველთვიური განახლების შესაძლებლობით იმოქმედებს“.²³

ლიკვიდობის მხარდაჭერისთვის 2020 წლის აპრილში მთავრობამ განაცხადი დაამატებით 600 მლნ ლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდების გამოშვება და მიღებული თანხის გრძელვადიანი დეპოზიტის სახით კომერციულ ბანკებში განთავსება.

დაკრედიტების სტიმულირება/ წახალისება - დაკრედიტების სტიმულირებისთვის ეროვნულმა ბანკმა 04/2020 დან 08/2020-მდე რეფინანსირების განაკვეთი შემცირდა ჯამში 1პპ-ით.²⁴

მთავრობის მიერ გამოიყო 330 მლნ. ლარი საკრედიტო-საგარანტიო სქემის უზრუნველსაყოფად. ამოქმედდა სახელმწიფო გარანტია 01/06/2020 – 01/01/2021 პერიოდში გაცემულ იპოთეკურ სესხებზე. ამასთან, იპოთეკურ სესხებზე მოხდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირება 4 პროცენტულ პუნქტამდე (ჩათვლით).²⁵

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ასევე შეარბილა ფიზიკური პირის დაკრედიტებასთან დაკავშირებული რეგულაციები, რაც დაკრედიტების მენეჯმენტში ნაკლებ ჩარევას გულისხმობს. ეროვნული ბანკის მოტივს წარმოადგენს შემდეგი: აღნიშნული მიდგომა გაზრდის ფინანსური ინსტიტუტის რისკების მართვის ფუნქციის როლს და ამასთან, გაამარტივებს გადახდისუნარიანი მოსახლეობისთვის ფინანსებზე

²³ იხილეთ: საქართველოს ეროვნული ბანკის საგანგებო ღონისძიებები COVID-19-თან დაკავშირებით <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=754>

იხილეთ: ლიკვიდობის მიწოდების დამატებითი ინსტრუმენტები - <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=753>

²⁴ პპ - პროცენტული პუნქტი

²⁵ საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის ანგარიში 2020, https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/finstability/2020/finstability_2020_geo.pdf

ხელმისაწვდომობას. პროცესი თავისთავად ამაღლებს მოქნილობის დონეს და გაზრდის დაკრედიტების პროცესის ეფექტიანობას.

ცვლილებები შევიდა მსესხებლის შემოსავლის შესწავლის პროცედურაში - ეროვნული ბანკის ბრძანების თანახმად, აღნიშნული აღარ იქნება მკაცრად რეგლამენტირებული. ბანკს და მასთან ერთად სხვა ფინანსურ ორგანიზაციებს შესაძლებლობა აქვთ, შეიმუშაონ შიდა პროცედურა შემოსავლის დადგენის წესის შესახებ.

იმის სადემონსტრაციოდ, თუ რა მიდგომებით უპასუხეს თავად კომერციულმა ბანკებმა პანდემიით შექმნილ კრიზისს, შევისწავლეთ რამდენიმე კომერციული ბანკის მონაცემები.

პროცესების გაციფრულება შეიძლება ითქვას, რომ იყო მთავარი, რამ, რისი აუცილებლობის წინაშეც პანდემიამ დაგვავენა. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, პირველი, რაც ბანკებმა გააკეთეს, იყო მეტი ინვესტირება დისტანციურ საბანკო მომსახურებაში. ციფრული პროდუქტების სიაშია მონაცემთა ანალიტიკა, ხელოვნური ინტელექტი, რობო-მრჩეველები, ბლოკჩეინები, რომელთა აქტიურად გამოყენება ბანკებმა დაიწყო გაციფრულების პროცესის დაჩქარების და ახალ რეჟიმზე გადასვლის მიზნით.²⁶

ციფრულ სერვისზე გადასვლის წარმატებული შემთხვევა იყო მსოფლიო საბანკო გიგანტის, „HSBC ბანკის“ და კომპანია “Tradeshift”-ის ურთიერთთანამშრომლობა, რომლის დროსაც ბანკი Tradeshift-ის პლატფორმას იყენებდა მიმწოდებლებზე ინვოისების გადახდების ავტომატიზაციის მიზნით. აღნიშნული პროცესი გრძელვადიანი გადახდების თვალსაზრისით მეტ გამჭვირვალობას მომავალშიც უზრუნველყოფს. ²⁷

ამასთან, ძალაში შევიდა საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანება, რომლის მიხედვითაც ბანკების ზედამხედველობა და შესაბამისი

²⁶ იხილეთ: როგორ პასუხობს საბანკო სექტორი პანდემიის გამოწვევებს <https://fintech.ge/news/details?id=153>

²⁷ იქვე

პროცედურები ციფრული არხების საშუალებით, დისტანციურად უნდა ჩატარდეს.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დადებით ცვლილებებთან ერთად, პანდემიამ მნიშვნელოვანი უარყოფითი პროცესებიც გამოიწვია. მომსახურების ციფრულ რეჟიმში გადატანასთან ერთად გაჩნდა თანამშრომელთა შემცირების ტენდენციაც. ეს გამოწვეული იყო არა მხოლოდ გაციფრულების პროცესის, არამედ პანდემიით გამოწვეული დაუგეგმავი მოცულობის ზარალით. 2020 წლის დასაწყისიდან მოყოლებული საქართველოში არსებული ბანკების 20-ზე მეტი ფილიალი და სერვის-ცენტრი დაიხურა.

„Commerze Bank“-მა, რომელიც გერმანიის სიდიდით მეორე ბანკია, 340 ფილიალი დახურა პანდემიის მიზეზით. შვედეთის ბანკმა „Handelsbanken“ კი ფილიალების ქსელის 50%-ით შემცირებას გეგმავს. მსგავსი გადაწყვეტილება მიიღო ევროპისა და აშშ-ს ბანკების უმრავლესობამ. თუმცა, აღნიშნული ცვლილებები შექმნილი მდგომარეობის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს.²⁸

საქართველოს ბანკმა სწრაფად მოახდინა პროცესებთან ადაპტირება და მომხმარებლებს შესთავაზა ისეთი ციფრული სერვისები, როგორცაა: მობილური ინტერნეტბანკის ინტერნეტის გარეშე გამოყენება, დროებით განულდა საკომისიო მობაილ-ბანკით სარგებლობისას, ასევე დაინერგა იპოთეკური სესხზე (არსებული შემოსავლით) შესაძლო ასაღები თანხის და შენატანების გამოთვლის მექანიზმი და სესხის აღების პროცედურის დიდი ნაწილი ციფრულ ფორმატში გადავიდა.

²⁸ იქვე

სამაგისტრო ნაშრომის კვლევა რისკ მენეჯმენტის გამოწვევებთან დაკავშირებით ქართულ საბანკო სისტემაში თანამედროვე ეტაპზე

წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში განხილული ისეთი საკითხების ანალიზისთვის, როგორცაა ბანკების წინაშე არსებული რისკები თანამედროვე ეტაპზე, მათი დაძლევის გზები და მეთოდები ჩატარდა კვლევა, სადაც ასახულია კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობა, პანდემიის გავლენა ფინანსურ მაჩვენებლებზე და საბანკო პოლიტიკაში განხორციელებული ცვლილებების დადებითი და უარყოფითი მხარეები.


კვლევის მიზანი იყო, გაგვეანალიზებინა ეფექტური რისკ მენეჯმენტის როლი საბანკო სექტორში, რისკთან ბრძოლის ისეთი მექანიზმების ქმედითუნარიანობა და ნაკლოვანებები, როგორცაა: პროგნოზირების ეფექტური მეთოდების არსებობა, სარეზერვო ფონდების არსებობა, შიდა და გარე კონტოლის სისტემი არსებობა, საბაზრო დისციპლინა და სხვა. ასევე, ეროვნული ბანკის ჩართულობა კომერციული ბანკების რისკების იდენტიფიცირებასა და მართვაში და პანდემიური კრიზისით მიყენებული ზარალის დაძლევის პერსპექტივები.

კვლევა აგებულია კომპეტენტურ პირთა მოსაზრებებისა და დასკვნების ანალიზზე. შესაბამიდად, რესპონდენტთა 100% წარმოადგენს საბანკო სფეროში დასაქმებულ თანამშრომლებს და ეკონომიკური განათლების მქონე ინდივიდებს.

შერჩეულმა სამიზნე ჯგუფმა საშუალება მოგვცა, გენერალური ერთობლიობა წარმოდგენილი ყოფილიყო სრულად კომპეტენტური ადამიანებით, რაც ამცირებს რეალური და გონივრული შედეგისგან გადახრის ალბათობას.

კვლევის შედეგად მივიღეთ მონაცემები:


რა მიგაჩნიათ ბოლო პერიოდის ყველაზე დიდ რისკად, რის წინაშეც დგას საზოგადოება?



გამოკითხულთა 46.4% საზოგადოების წინაშე არსებულ ბოლო პერიოდის ყველაზე დიდ რისკად COVID-19 პანდემიას და თანმდევ მოვლენებს მიიჩნევს. მხოლოდ 7.2% თვლის, რომ ჩამოთვლილ ვარიანტთაგან საპროცენტო განაკვეთები სესხებზე ყველაზე დიდი რისკია.


პანდემიის გამო ეკონომიკის ყველა დარგის ფუნქციონირების შენელებამ/გაჩერებამ გამოიწვია თანმდევი პროცესები: კომპანიებმა მიმართეს შტატების შემცირების, ხელფასების შეკვეცის და სხვა ზომებს, რამაც თავისი მრავლის მომცველი შედეგებით გადაფარა საზოგადოების წინაშე მანამდე არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები.

რამდენად მნიშვნელოვანია საბანკო სექტორის სტაბილურობა ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობისთვის?



გამოკითხულთა დიდი უმრავლესობის - 83.5%-ის აზრით, საბანკო სექტორი ქვეყნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მხოლოდ 4.1% თვლის, რომ საბანკო სექტორის სტაბილურობას ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობისთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა არ გააჩნია, ვინაიდან ეკონომიკას მისგან დამოუკიდებლადაც შეუძლია გამართული ფუნქციონირება.

რა მიგაჩნიათ ბანკების წინაშე არსებულ ყველაზე დიდ პრობლემად დღევანდელ რეალობაში?




პანდემიის გავლენით ბიზნესის ფუნქციონირების შეფერხება ბანკების წინაშე არსებულ ყველაზე დიდ პრობლემად ესახება გამოკითხულთა 53.6%-ს.

შედეგი კვლევის ამ საკითხზე მოსალოდნელი იყო, ვინაიდან სწორედ პანდემია გახდა ბიზნეს სექტორის დიდი ნაწილის საქმიანობიდ შეფერხების ან/და სრულად შეწყვეტის მიზეზი (მაგალითისთვის ტურიზმის სექტორი).

ამას გარდა, შემოსავალი შეუწყდა ან შემცირდა საზოგადოების იმ ნაწილსაც, რომლებიც ყოველთვიურ ფიქსირებულ ანაზღაურებას იღებდნენ ხელფასის, გზავნილი, იჯარის თუ სხვა სახით. შესაბამისად, შემცირდა მოთხოვნა სამომხმარებლო სესხებზე და გაიზარდა უკვე გაცემული კრედიტების დროულად და ხელშეკრულების პირობებისამებრ ვერ დაფარვის რისკი, რაც თავის მხრივ, ბანკს კომპლექსური პრობლემების წინაშე აყენებს.

რამდენად შესაძლებელია არსებული რისკების დაძლევა სწორი რისკ მენეჯმენტის გზით?




გამოკითხულთა უმრავლესობა 67.4% წილით მიიჩნევს, რომ რისკ მენეჯმენტში არსებობს მრავალმხრივი მეთოდები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია არსებული პრობლემების დაძლევა. იგულისხმება მანამდე დასმულ საკითხებში დომინირებული პრობლემები. მხოლოდ მცირე ნაწილი - 1.1% პროცენტულობით თვლის, რომ პრობლემა ზედმეტად მასშტაბური და კომპლექსურია იმისთვის, რომ მისი დაძლევა შესაძლებელი იყოს თუნდაც სწორი რისკ მენეჯმენტის გზით.

თუმცა, პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვებისას შეუძლებელია, არ შეინიშნოს, ფაქტი, რომ პანდემიის დროს ბანკი იყო ერთ-ერთი იმ მცირე დაწესებულებათაგან, რომლებსაც არ შეუწყვეტიათ ფუნქციონირება. ცნობილია ისიც, რომ მათ მოუწიათ გაცემული სესხების დიდი ნაწილის გადავადება 3 თვიანი პერიოდით (ძირითად შემთხვევებში სესხები 3 თვიანი პერიოდით გადავადდა), რამაც მნიშვნელოვანი რისკები წარმოშვა: დაგროვილი პროცენტის გადახდა გაუძნელდათ დიდ და მძლავრ ბიზნესებსაც, რომ არარ ვისაუბროთ ცალკეულ ფიზიკურ პირებზე.

პროცესს თან დაერთო ინფლაციური პროცესები და სავალუტო რისკები, თუმცა ყველაფერ ამის პარალელურად, კომერციულმა ბანკებმა მაინც მოახერხეს კრიზისის დაძლევა.


ეროვნული ბანკის მხრიდან გატარებული ღონისძიებები, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ, მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი გახდა რისკების დაძლევისთვის.

როგორ შეაფასებდით COVID-19 პანდემიის შედეგად საბანკო სისტემაზე მიყენებულ ზარალს?




კვლევაში მონაწილეთა 44.3%-ს აზრით, ფინანსურად სუსტმა ორგანიზაციებმა ვერ გაუძლეს შექმნილ მდგომარეობას, შედარებით მძლავრ ფინანსურ მოთამაშეებს კი უკვე აქვთ პოსტ პანდემიური სამოქმედო გეგმა. თუმცა, ამასთან, ბევრს (37,1%) მიაჩნია, რომ კომპანიებს და ბიზნესს რამდენიმე წელი დასჭირდებათ მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად და პანდემიამდელ პოზიციაში დასაბრუნებლად.

რა გზით უნდა შეძლოს ბანკმა ფინანსური დანაკარგის კომპენსირება ეკონომიკური სტაგნაციის პირობებში?



აზრთა სხვადასხვაობა მივიღეთ იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რა იქნება გამოსავალი სტაგნაზიის პირობებში ფინანსური დანაკარგის ასანაზღაურებლად, 6.2% თვლის, რომ გამოსავალი მომსახურების ტარიფების გაზრდაა. 14.4% მიიჩნევს, რომ უნდა მოხდეს შდა ხარჯების შემცირება (მათ შორის თანამშრომელთა შემცირების, დისტანციურ ფორმატში გადასვლისა და სხვა გზებით), ხოლო 17.5 % ზარალის კომპენსირების იარაღად დაზღვევას მიიჩნევს. 61.9%-მა არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი ვარიანტი არ მიიჩნია საკითხის გადაწყვეტის გზად.


ძირითადად რის მიხედვით უნდა იხელმძღვანელოს ბანკმა დაკრედიტების პროცესში, რათა შეამციროს საკრედიტო რისკი?



კომერციული ბანკი დაკრედიტების პროცესში ბევრ ფინანსურ მაჩვენებელს და არაფინანსურ ფაქტორს ითვალისწინებს. თუმცა, ამათგან პანდემიის პირობებში წინა პლანზე გადმოვიდა ბიზნესის გარემო პირობებზე დამოკიდებულების დონე.


ბანკების მიერ საკრედიტო რისკის შესამცირებლის მიზნით რეალურად გატარებული ზომები, რომლის ფარგლებშიც გამკაცრდა გარკვეული ტიპის ბიზნესების დაფინანსების პროცედურა, ლოგიკურად აისახა გამოკითხულთა აზრშიც - 60.4% თვლის, რომ დაკრედიტების პროცესში უმთავრესი ფაქტორი ბიზნესის ტიპია (ის, თუ რამდენად განსაზღვრავს მის სტაბილურობას გარეშე ფაქტორები).

რა არის რისკის მართვის (პრევენციის) საუკეთესო იარაღი ბანკისთვის?



აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სფეროს წარმომადგენლების აზრი შეიძლება ითქვას, თანაბრად გაიყო, რაც ლოგიკური და მოსალოდნელი შედეგია, ვინაიდან ჩამოთვლილი ალტერნატივებიდან რისკის მართვის ყველა ბერკეტი კანონმდებლობის დონეზეა აყვანილი. მათ არსებობას არეგულირებს საერთაშორისო სტანდარტი და შემდგომ უკვე მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელია სახელმწიფოს ეროვნული ბანკი.


აქვე აღვნიშნოთ, რომ მრავალმხრივი რისკისგან თავდასაცავად ექსპერტები გამოყოფენ ბანკების მიერ პრაქტიკაში გამოყენებულ მეთოდებს, რომელთა მეშვეობითაც ახდენენ ისინი რისკის მინიმიზაციას და ფინანსური პოზიციების შენარჩუნებას. ესენია: ხარისხის მართვა, დივერსიფიკაციის პოლიტიკა, დეპოზიტების დაზღვევა და საკუთარი კაპიტალი, რომელიც გადევნებული სესხების, არამომგებიანი ინვესტიციებისა და სხვადასხვა ტიპის დანაშაულისა თუ მართვაში დაშვებული შეცდომისგან გამოწვეული ზარალის კომპენსირებას ახდენს. აღნიშნული მეთოდები წარმოადგენს ბარიერებს გაკოტრების წინააღმდეგ. რამდენად შეესაბამება კომერციული ბანკების შიდა პოლიტიკა და პროცედურები ეროვნული ბანკის მიერ რისკის მართვის მიმართულებით დაწესებულ სტანდარტებს?



აღნიშნული საკითხი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, ვინაიდან ყველა ბანკს აქვს განსხვავებული მიდგომა სტანდარტებთან მიმართებაში, კერძოდ, ზოგიერთი კომერციული ბანკი იცავს წესებს, თუმცა მოქმედებს მოდიფიცირებული მიდგომებით იმისთვის რომ გააიოლოს მომსახურების პროცესი. მაგალითისთვის, როდესაც ეროვნულმა ბანკმა შეზღუდა ბიზნეს ადგილის დათვალიერებისა და ამ გზით შემოსავლის დადასტურების გარეშე სესხის გაცემა, კრედო ბანკს ჰქონდა შემუშავებული შემდეგი მიდგომა: თითოეულ ზონაში (სოფელში) ჰყავდა თავისი წარმომადგენელი, რომელთან სატელეფონო საუბრის შემდეგ საკრედიტო ექსპერტი ახდენდა მსესხებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტის გადამოწმებას.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს წესები, რომელთა ზედმიწევნით დაცვასაც უზრუნველყოფენ კომერციული ბანკები მათი უგულვებელყოფის შემთხვევაში დაწესებული სანქციების სიმკაცრიდან გამომდინარე.

რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ ეროვნული ბანკის მიერ რეგინანსირების განაკვეთის გაზრდა?




- სავსებით მიზანშეწონილია, რადგან ეს ემსახურება ფასების სტაბილურობის შენარჩუნებას.
- არ იყო სწორი გადაწყვეტილება, ვინაიდან ეს დამატებით ტვირთად დააწვება მომხმარებელს.
- არ მაქვს მკვეთრად ჩამოყალიბებული აზრი

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი მიდგომა შეიძლება ჰქონდეს პიროვნებას, რომელიც იმყოფება ერთდროულად მსესხებლის და ბანკის თანამშრომლის როლში. მსესხებლებისთვის მოცემული ცვლილება დამატებით ხარჯად იქცა, რაც მეტად არაკომფორტულია დღევანდელ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში. ასევე თვლის გამოკითხულთა უმრავლესობა იმის მიუხედავად, რომ მათი დიდი ნაწილი საბანკო სფეროში მომუშავე გამოცდილ და კვალიფიციურ პროფესიონალ კადრებს წარმოადგენენ.

ვინაიდან ეროვნული ბანკის ეს ნაბიჯი ინფლაციის ტემპის კლებას და ფასების დონის სტაბილურობის შენარჩუნებას ემსახურება, გამოკითხულთა 16.5 % მას სავსებით მიზანშეწონილად მიიჩნევს.

უნდა ჰქონდეს თუ არა ბანკს შესაძლებლობა, სესხი გასცეს ცვლად (მცურავ) საპროცენტო განაკვეთში?




- დიახ, რადგან ამ გზით აზღვევს მოსალოდნელ ფინანსურ დანაკარგს
- არა, რადგან ეს კლიენტს აყენებს არასამართლიან მდგომარეობაში
- მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს სრულად აქვს გაცნობიერებული გადახდის პირობები და თანახმაა მომავალში პროცენტის შესაძ...

დაკრედიტების პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა სესხი გაიცემა შედარებით დაბალ პროცენტში იმის ხარჯზე, რომ იგი დათვლილია ცვლად საპროცენტო განაკვეთში. შესაბამისად, გრაფიკის მიხედვით გაწერილი გადასახდელი თანხები შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს და ამან ფინანსური საფრთხე შეუქმნას მსესხებელს. განუსაზღვრელობა, რომელსაც თავის თავში მოიცავს მცურავი საპროცენტო განაკვეთი, შეიძლება დეფოლტის მიზეზი გახდეს.

ბანკისთვის აღნიშნული პირობით სესხის გაცემა რამდენიმე მიზეზითაა მომგებიანი. პირველი: როგორც წესი, სესხზე წინასწარ განსაზღვრული პროცენტი დროთა განმავლობაში იმატებს, რაც ბანკისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროა. მეორე: საწყის ეტაპზე დაწესებული დაბალი ნომინალური პროცენტის ოდენობა უფრო მომხიბვლელია მსესხებლისთვის, რაც მისი მოზიდვის ერთ-ერთ იარაღს წარმოადგენს. რეალობა კი ისაა, რომ აღნიშნული პირობით უკმაყოფილო რჩება მომხმარებელთა აბსოლუტური უმრავლესობა, რაც მათთან პირადი კომუნიკაციით დასტურდება.

სწორედ ამ მიზეზებითაა განპირობებული ის, რომ გამოკითხულთა 56.7% -ს აზრით, სესხი მცურავ საპროცენტო განაკვეთში უნდა გაიცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კლენტს სრულად აქვს გაცნობიერებული გადახდის პირობების მოსალოდნელი ცვლილება და თანახმაა მომავალში პროცენტის შესაძლო მატებაზე.

ბანკისთვის ზრდის თუ არა საბაზრო რისკს ის ფაქტი, რომ საქართველოში საფონდო ბირჟა არ ფუნქციონირებს, როგორც მძლავრი ფინანსური ინსტიტუტი?



- არა, რადგან საფონდო ბირჟის დინამიკური ფუნქციონირება ბანკს გამოიყვანს მონოპოლისტის მდგომარეობიდან, რაც შეიძლება...
- დიახ, საფონდო ბირჟის გამართული ფუნქციონირება ხელს შეუწყობდა ინფორმაციის გახსნილობას (მაგ.: ფასიანი ქაღალდების ს...)
- ცალსახა პოზიცია არ მაქვს.

ჩვენს ქვეყანას არ აქვს მძლავრი საფონდო ბირჟის ქონის გამოცდილება, რაც გარკვეულწილად ბუნდოვანს ხდის მის სარგებლიანობას, ფუნქციებსა და მნიშვნელობას როგორც მთლიანად ფინანსური სექტორის, ისე ცალკე აღებული საბანკო სექტორის ფუნქციონირების საკითხში. სწორედ ამიტომ, გამოკიხულთა დიდ ნაწილს 45.4% მაჩვენებლით არ აქვს ცალსახა პოზიცია მიუხედავად ფინანსური განათლების ქონისა და საბანკო სფეროში მუშაობის გამოცდილებისა.

რესპონდენტთა 44.3% თვლის, რომ საფონდო ბირჟის გამართული ფუნქციონირება ხელს შეუწყობდა ინფორმაციის გახსნილობას (მაგალითად ფასიანი ქაღალდების საბაზრო ფასის ბანკისთვის არამომგებიანი მიმართულებით რყევის შესახებ), რაც მასტიმულირებელი ფაქტორი იქნებოდა ბანკების მომგებიანობის დონის ზრდისთვის.

კომერციულ ბანკში არსებული რისკების უკეთ გასაანალიზებლად ჩაიწერა ინტერვიუ მიკრო-საფინანსო ორგანიზაცია კრისტალის ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ფილიალის მენეჯერთან - რამინ ლაბაძესთან.

მიმდინარე პერიოდში რა სახის საბანკო რისკებია წინა პლანზე წამოწეული?

- დღეს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე ბანკებში ყველაზე მეტად საკრედიტო რისკი დომინირებს. აქვე აღსანიშნავია სავალუტო რისკი, რომელმაც ბოლო პერიოდში უფრო მეტად იჩინა თავი.

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად კი იზრდება ინფორმაციული უსაფრთხოების რისკიც.

რა მექანიზმები აქვს ბანკს არსებული რისკის პრევენციისთვის და რამდენად ეფექტურია ისინი?

- კრისტალში პანდემიის შემდგომ რისკების დაზღვევა განხორციელდა შემდეგი გზებით: მოხდა არსებული სესხების რეფინანსირება საშელავათო პერიოდებით, გაკეთდა რესტრუქტურირაციები და აიგო მომხმარებელზე მორგებული ინდივიდუალური გადახდის გრაფიკები.

რა მნიშვნელოვანი ცვლილებები განცორციელდა ბანკის წინაშე არსებული რისკების შესამცირებლად/თავიდან ასაცილებლად პანდემიის პერიოდში?

- ორგანიზაცია მუშაობს პოსტ კრიზისული ინსტრუქციით, რაც გულისხმობს რისკების ნაკლებად აღებას, გარკვეული მიმართულების ბიზნესების დაფინანსების დროს შეზღუდვებს ან გამკაცრებულ / კონსერვატიულ მიდგომას.

არსებულ ციფრულ პლატფორმას (მაგ. ონლაინ ბანკი, მობაილ ბანკი) დაემატა თუ არა ახალი ფუნქციები დისტანციური მომსახურების გაუმჯობესებისთვის? კონკრეტულად რა?

- დიახ, სერვისის გამარტივებისთვის დაგვემატა ახალი ფუნქციები - შეიქმნა ახალი პლატფორმა და მომხმარებელს შეუძლია, 3000 ლარამდე სესხის ასაღებად მხოლოდ სალაროში მივიდეს.

ზოგადად, არსებულ პირობებში ყველა ორგანიზაცია ცდილობს, მომხმარებლები გადაიყვანოს თვითმომსახურებაზე (self-service) და მინიმუმამდე დაიყვანოს ფილიალებში მათი მისვლა.

რა გზით განახორციელა ბანკმა პანდემიის პერიოდში კრედიტორთა დაცვა ვადაგადაცილების რისკისგან?

- როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბანკმა მსესხებლებს შესთავაზა რეფინანსირება საშელავათო პერიოდით, რესტრუქტურირაცია და ინდივიდუალური გრაფიკები.

როგორ ფიქრობთ, უნდა გართულდეს თუ პირიქით - უნდა გამარტივდეს დაკრედიტების პროცესი პანდემიის შედეგად შექმნილ ვითარებაში?

- ბანკი გაართულებს დაკრედიტების პროცესს გასაგები მიზეზების გამო. თუმცა, პრობლემის ოპტიმალური გადაწყვეტა იქნება, თუ სახელმწიფო თავად უზრუნველყოფს რისკების დაზღვევას. ყველა სექტორს ახლა უდგას თანხის საჭიროება და ფულთან ხელმისაწვდომობის დონე მაღალი უნდა იყოს.

დასკვნა და რეკომენდაციები

როგორც ვხედავთ, რისკ მენეჯმენტის პროცესი რთული და კომპლექსური ეტაპებისგან შედგება, განსაკუთრებით დღეს შექმნილ ვითარებაში, როცა რისკის დონე მომატებულია ყველა მიმართულებით. მიუხედავად ამისა, საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები მაინც ახერხებენ არსებული რისკების დაძლევის ეფექტიანი სტრატეგიების მეშვეობით. ამისთვის მათ შემუშავებული აქვთ მრავალმხრივი მეთოდები, რაც მოიცავს პროგნოზირების სისტემის არსებობას, რისკის იდენტიფიცირებისა და შეფასების მექანიზმებს, მონიტორინგისა და კონტროლის თუ სხვა ფუნქციებს.

მნიშვნელოვანია ეროვნული ბანკის როლი საბანკო რისკ მენეჯმენტის მიმართულებით, ვინაიდან სწორედ ის ადგენს იმ ნორმებს, რომელთა ფარგლებშიც უნდა მოახდინონ ბანკებმა საქმიანობის პროცესის მართვა. ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული ნორმატიული აქტები, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ საერთაშორისო მარეგულირებელი ორგანოების რეკომენდაციებზე დაფუძნებულ დებულებებს, უზრუნველყოფს საბანკო რისკის მინიმალიზებას და ფინანსური დანაკარგების თავიდან აცილების გზას წარმოადგენს.

როგორც საკითხის სიღრმისეული ანალიზიდან ჩანს, საკრედიტო რისკი რჩება ყველაზე მნიშვნელოვან და საფრთხის შემცველ რისკად სხვა დანარჩენთა შორის. აღნიშნული განპირობებულია კომერციული ბანკების საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე - სხვადასხვა ტიპის ბიზნესსა თუ საოჯახო მეურნეობაში ინვესტირება საკითხის უამრავი მაჩვენებლის მიხედვით შესწავლას მოითხოვს. მათ შორის უნდა მოხდეს ბიზნესისგან დამოუკიდებლად არსებული მაკროეკონომიკური პროცესების განუსაზღვრელობის ელემენტის გათვალისწინებაც, რაც მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს. არასწორი დაკრედიტების და რისკის კონტროლის ეფექტური სისტემის არარსებობა შესაძლოა ბანკის გაკოტრების ან უდიდესი ფინანსური ზარალის მიზეზი გახდეს.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საბანკო პოლიტიკაში COVID-19 პანდემიის გამო შექმნილი მდგომარეობის გასაწესრიგებლად. კერძოდ, შემსუბუქდა საზედამხედველო ტვირთი ბანკებისთვის, გადაიდგა ნაბიჯები დაკრედიტების ხელშეწყობისა და ლიკვიდობის მხარდაჭერის მიმართულებით, გატარდა ღონისძიებები ფინანსურ სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. თავის მხრივ, ბანკებმაც შეცვალეს მიდგომები, რაც აისახა დაკრედიტების გართულებაში გარკვეული ტიპის ბიზნესებისთვის. ამასთან, პანდემიის გათვალისწინებით გადაიხედა მიდგომები საკრედიტო დაზღვევის სტანდარტებში და გამკაცრდა ისინი საჭიროების მიხედვით.

რისკ მენეჯმენტის არსებული სტრატეგიების და მათი ეფექტურობის კვლევისა და შესწავლა-ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია შემდეგი სახის დასკვნების გაკეთება და რეკომენდაციების შემუშავება:

- ✓ წარმოდგენილი კვლევის შედეგად მოხდა კომერციული ბანკების წინაშე დღეს არსებული პრობლემებისა და რისკების იდენტიფიცირება. ასევე წარმოჩნდა რისკ მენეჯმენტის როლი და მნიშვნელობა მათი დაძლევის საკითხში. გარდა ამისა, მოხდა კოვიდ-19 პანდემიის შედეგად საბანკო სისტემაზე მიყენებული ზარალის სიმძლავრის განსაზღვრა კომპეტენტურ პირთა მოსაზრებების საფუძველზე.
- ✓ გამოიკვეთა მოქმედების ის ფორმები, რისი საშუალებითაც ბანკებმა უნდა მოახდინონ ფინანსური დანაკარგის კომპენსირება ეკონომიკური სტაგნაციის პირობებში. კერძოდ, წარმოჩნდა დაზვევისა და შიდა ხარჯების შემცირების აუცილებლობა. ასევე პროგნოზირების უფრო ეფექტური მეთოდების არსებობის საჭიროება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ბანკებმა აღნიშნული ბერკეტების გამოყენებით უნდა უზრუნველყონ კრიზისით შექმნილი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება.
- ✓ კვლევის მონაცემებით ასევე ნათელი გახდა, რომ საბანკო სფეროში დასაქმებულთა უმეტესობა არ ემხრობა ეროვნული ბანკის მიერ

რეფინანსირების განაკვეთის გაზრდას, ვინაიდან ეს ზედმეტ ტვირთად შეიძლება იქცეს მსესხებლისთვის და შედეგად გართულდეს ვალდებულების წინასწარ განსაზღვრულ ვადებში დაფარვა. მართალია, აღნიშნული ცვლილება ფასების სტაბილურობის შენარჩუნებას ემსახურება, თუმცა შექმნილ სიტუაციაში კი ეს ბანკისთვის დამატებითი ზარალის გამომწვევი მიზეზი შეიძლება გახდეს.

- ✓ ბანკების მიმართ შეიძლება წარმოვადგინოთ რეკომენდაცია, რომ სესხის გაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდეს ცვლად (მცურავ) საპროცენტო განაკვეთში, თუ კლიენტს სრულად აქვს გაცნობიერებული გადახდის პირობები და თანახმაა მომავალში პროცენტის შესაძლო მატებაზე. აღნიშნული შეამცირებს კლიენტის უკმაყოფილებას და ამასთან, ბანკს თავიდან ააცილებს დეფოლტის რისკს, რაც შეიძლება სესხის შენატანის წინასწარ განუსაზღვრელი ოდენობით მატებამ გამოიწვიოს.
- ✓ გარდა ზემოაღნიშნულისა, ნათელი გახდა პოსტ-კრიზისულ პერიოდში ბანკების მიდგომის ცვლილება, კერძოდ, გარკვეული ტიპის ბიზნესებისთვის დაკრედიტების გართულების ტენდენცია. აღნიშნული უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკური აქტივობის შენელებით ისედაც დაზარალებულ ბიზნესებზე. პრობლემის გადაჭრა შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო თავად აიღებს თავის თავზე არსებულ რისკებს დაზღვევის გზით, რითაც სტიმულს მისცემს ბანკებს ბიზნესების აქტიური დაფინანსებისთვის.

საბანკო სექტორი ქვეყნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი რგოლია და იქ მიმდინარე პროცესები კომპლექსურად აისახება სხვა სექტორების გამართულ ფუნქციონირებასა და საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე. აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ ეროვნულ ბანკთან ერთად უნდა შექმნას ისეთი კლიმატი კომერციული ბანკებისთვის, რომ

გაუადვილოს ოპერირება პანდემიის შემდგომ შექმნილ რთულ ეკონომიკურ პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება კომერციულ ბანკებში რისკის მართვის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ
<https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/supervision/2014/riskebis_martva_20_06_14.PDF> [უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა - 11.07.2021]
2. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკების რისკის შეფასების საერთო პროგრამის მოქმედების წესის დამტკიცების თაობაზე
<<https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/fts/sabanko2020/3204.pdf>>
[უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა - 11.07.2021]
3. ვერცი ი. საბანკო მენეჯმენტი და კონტროლი, სტრატეგია, ფასები, კაპიტალი და რისკ მენეჯმენტი, ციურიხი, შვეიცარია 2020
4. გოგოხია მ. საქართველოს საერთაშორისო საბანკო ურთიერთობების რეგულირება ბაზელის შეტანხმების საფუძველზე,
<<https://dspace.tsu.ge/bitstream/handle/123456789/493/Regulation%20of%20international%20banking%20relations%20of%20Georgia%20based%20on%20the%20Basel%20agreement.pdf?sequence=1&isAllowed=y>>
[უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა - 01.07.2021]
5. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკების მიერ საოპერაციო რისკების მართვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე
<https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/fts/saoperacio_riskebis_martvis_d ebuleba.pdf> [უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა - 05.07.2021]
6. ქისტაური ლ. ცუცქირიძე გ. რისკ მენეჯმენტი კომერციულ ბანკებში. თბილისი, ქართული უნივერსიტეტი. 2015, 267გვ.
7. საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდი:
<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=697>
8. GRAPE, <<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=697>> [უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა - 11.07.2021]

9. საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანება კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ, <<https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/fts/sabanko2020/11704.pdf> > [უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა - 11.07.2021]
10. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება კომერციულ ბანკებში რისკის პოზიციების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე <https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/fts/sabanko2020/228_04_1311.pdf > [უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა - 30.05.2021]
11. მონეტარული პოლიტიკის რეფინანსირების განაკვეთი <<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=555>> , [უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა - 05.07.2021]
12. პატარია ნ. რას მოუტანს 9.5 პროცენტის რეფინანსირების განაკვეთი ლარს და ბიზნესს, <<https://sputnik-georgia.com/economy/20210430/251615325/refinansirebis-ganakvetis-zrda.html>> [უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა - 10.07.2021]
13. საქართველოს მთავრობის დადგენილება N236 ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, თბილისი, 2014 წ. 18 მარტი. <<https://matsne.gov.ge/ka/document/download/2284180/2/ge/pdf>>
14. საქართველოს ეროვნული ბანკის საგანგებო ღონისძიებები COVID-19-თან დაკავშირებით < <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=754> > [უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა - 11.07.2021]
15. ლიკვიდობის მიწოდების დამატებითი ინსტრუმენტები <<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=753>> - [უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 11.07.2021]
16. საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის ანგარიში 2020, <https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/finstability/2020/finstability_2020_geo.pdf> [უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 11.07.2021]
17. კიკვიძე დ. როგორ პასუხობს საბანკო სექტორი პანდემიის გამოწვევებს 14 მაისი, 2021 წ, <<https://fintech.ge/news/details?id=153>> [უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 11.07.2021]
18. National Defense Authorization Act for Fiscal Year 2021 Includes Numerous Provisions Impacting Government Contractors <<https://www.jdsupra.com/legalnews/national-defense-authorization-act-for-5444697/>> [უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01.07.2021]
19. FY2021 National Defense Authorization Act: Context and Selected Issues for Congress <https://www.everycrsreport.com/files/2021-03-08_R46714_fa874f9662ce23860de513d02a7339dbbe58b221.pdf> [უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01.07.2021]
20. სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო პილარ-3-ის წლიური ანგარიში 2020 <<https://www.finca.ge/wp->

<content/uploads/sites/4/2021/05/პილარ-3-ის-წლიური-ანგარიში-2020.pdf>> [უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 28.06.2021]

21. პილარ-3-ის წლიური ანგარიშგება, თიბისი ბანკი,
<<https://www.tcbank.ge/web/documents/10184/0/Pillar+3+Report+GEO.pdf/775847c0-b143-4796-903b-20dd1479d44a>> [უკანასკნელად
გადამოწმებულ იქნა 25.06.2021]